საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაშიზმზე გამარჯვების დღეს მოგილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 89 (2202) ხუთშაბათი, 9 მაისი, 1996 წელი ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ჯარისკაცის მამის ძეგლი გურჯაანში. თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

საქართველოს წვლილი განსაკუთრებულია ამ დიდ ისტორიულ საქმეში

ფაშიზმზე გამარჯვების დღე მთელ პლანეტაზე აღინიშნება. რა თქმა უნდა, აღინიშნება იგი საქართველოშიც, რადგან, ასე ვიტყოდი, საქართველოს წვლილი განსაკუთრებულია ამ დიდ ისტორიულ საქმეში. ეს ზეიმი იმითაც არის განსაკუთრებული მნიშვნელობის, რომ შეგვახსენებს წარსულის გაკვეთილებს, მოგვიწოდებს მშვიდობისათვის, ხალხთა შორის თანხმობისა და მეგობრობისათვის. ყველას ვულოცავ... დღესასწაულს, განსაკუთრებით ჩვენს ვეტერანებს, ნაომარ და გატანჯულ ადამიანებს.

საქართველოს პრეზიდენტის
ედუარდ შევარდნაძის
6 მაისის რადიოინტერვიუდან.

უნდა გვახსოვდეს!

საქართველომ ფრონტზე 750 ათასამდე მეომარი გაგზავნა. ამ ომში ქართველმა ხალხმა უჩვენა თავისი გმირული საბრძოლო სულისკვეთება, ეროვნული მხედრული მაღალი ტრადიციები და დიდი პოტენციალი. 20-ზე მეტი ქართველი გენერალი, ათასობით ოფიცერი მონაწილეობდა სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო, პარტიზანულ ბრძოლებში. ომს 300 ათასზე მეტი ქართველი მეომარი შეეწირა. ათასობით ადამიანი დასახიჩრდა, მრავალმა ოჯახმა დაკარგა მარჩენალი. ათიათასობით ქართველმა მეომარმა დაიმსახურა მაღალი ჯილდო, 164-ს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ვეტერანებს — ჯეროვანი ყურადღება

7 მაისს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს აკადემიკოს გიორგი ციციშვილს. შეხვედრისას განიხილეს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 51-ე წლისთავის აღნიშვნის, „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ამოქმედებისა და, საერთოდ, ვეტერანთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხები.

საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს სხდომაზე განიხილავს კანონპროექტს „სამხედრო ძალებიდან, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების სამსახურებიდან დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახების წევრების საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" და საკანონმდებლო ინიციატივის წესით შეიტანს პარლამენტში განსახილველად.

პრეზიდენტის პრესსამსახური.

დაბლა ვხრით თავს...

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მინისტრთა საბჭომ უდიდესი პატივისცემისა და ღრმა მადლიერების გრძნობით მიულოცა ფაშიზმზე გამარჯვების 51-ე წლისთავი საქართველოს ვეტერანებს.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა მიმართა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებსა და მონაწილეებს, მიულოცა 9 მაისი — ფაშიზმზე გამარჯვების დღე და ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე უსურვა მათ. დაე, სულ მალე ერთად მოვესწრებოდეთ მშვიდობიან, ძლიერ, ერთიან და დემოკრატიულ საქართველოს" — ნათქვამია მიმართვაში.

აკაკი — ჩვენი უკვდავი თანამედროვე

ერთი მსახიობის თეატრის პრემიერა

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრმა ფიქრის გორაზე 7 მაისს პრემიერაზე მიიწვია მაყურებელი. ამჯერად ამ თეატრის დამაარსებელმა და უცვლელმა ხელმძღვანელმა, საქართველოს სახალხო არტისტმა კოტე მახარაძემ სამსჯავროზე გამოიტანა თავისი ახალი ნამუშევარი „თავო, ჩემო, ბედი არ გიწერია". ეს არის ამაღელვებელი მოთხრობა უკვდავი აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

როგორც ყოველთვის, ახლაც ბატონმა კოტე მახარაძემ შექმნა შესანიშნავი სპექტაკლი, შეიძლება ითქვას თავისებური ლიტერატურული გამოკვლევა დიდი პოეტის ცხოვრების ურთულეს პერიპეტიებზე, მის ურთიერთობაზე ქართული ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, განსაკუთრებით კი დიდ ილია ჭავჭავაძესთან, რომელთანაც ერთად მან ერთგულად ზიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უმძიმესი ტვირთი და ქვეყნისა და ერისათვის სამსახური უპირველეს მოვალეობად გაიხადა.

...თითქმის ორი საათი ედგა სცენაზე ბატონი კოტე მახარაძე და შთაგონებით, მისთვის ჩვეული სიღრმითა და არტისტიზმით, უაღრესად შთამბეჭდავად უამბობდა მაყურებლებს აკაკი წერეთლის ბიოგრაფიის ახალ ფურცლებზე.

ეს იყო არა უბრალოდ ქრონოლოგიური და ბიოგრაფიული ცნობების გადმოცემა, არამედ უაღრესად მაღალმხატვრული და დახვეწილი ლიტერატურული სპექტაკლი, რომლის პრემიერასაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

ერთი მსახიობის თეატრის პრემიერას დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მეუღლითურთ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები.

საქინფორმი.

იტალია არ ივიწყებს

იტალიაში არ ნელდება სიყვარული და პატივისცემა ჩვენი სიამაყის მამულიშვილის, იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის მიმართ, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირიც გახლავთ. შვეიცარიიდან მილანისა და ევროპის დიდი ქალაქებისაკენ მიმავალ გზატკეცილზე, ქალაქების — სტრეზისა და ბელჯირატეს საზღვარზე, მრავალრიცხოვანი მგზავრის თვალს კვლავ იპყრობს უცნაური ფირნიში — „ბელჯირატე, სიღნაღთან (საქართველო) დაძმობილებული ქალაქი". სწორედ ამ ქალაქის ტერიტორიაზე დაეცა გმირის სიკვდილით ქართველი გოლიათი. ახლაც მოქმედებს მემორიალური მუზეუმი, ე. წ. „თავისუფლების ქოხი", რომელიც მისი დაღუპვის ადგილზე 1987 წელს გაიხსნა. ყველაზე გრძელი ქუჩა ამ ქალაქში ფორე მოსულიშვილის სახელს ატარებს.

კარგა ხანია ქართველი გმირის ნეშტი მსოფლიოში, ალბათ, ერთ-ერთი ულამაზესი ტბის — ლაგო მაჯორეს ნაპირას, ასევე უმშვენიერესი პატარა ქალაქის არონას ძმათა სასაფლაოზე განისვენებს. იქ სულ 26 პარტიზანია დაკრძალული, აქედან იტალიის უმაღლესი ჯილდოს — ოქროს ვარსკვლავის კავალერი მხოლოდ ერთია — ჩვენი მამულიშვილი. კიდევ ერთ უცხოელს აქვს მიჩენილი აქ სამუდამო ბინა — სტეფანე ბონდარენკოს და ისიც... თბილისელია.

ჩვენი გაზეთის მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ აგერ უკვე მესამე თვეა, სიცილიაში პალერმოსა და მენფში ვიმყოფები, სადაც აფხაზეთიდან ლტოლვილი ასორმოცდაათამდე ქართველი ბავშვი მყავს წამოყვანილი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მათ მშობლებს ვაუწყო, რომ ბავშვები შესანიშნავად გრძნობენ თავს. ჯერ არ ვიცი მხოლოდ — დავბრუნდებით 3 თვის თავზე თუ ერთი-ორი თვით კვლავ დავრჩებით სტუმართმოყვარე სიცილიაში. მასპინძლები საოცრად არიან მონდომებულნი პატარა ლტოლვილებმა ბოლომდე ისარგებლონ სიცილიური მზისა და ხმელთაშუა ზღვის სიკეთით...

ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, იტალიის ჩრდილოეთში ყოფნისას ფორეს საფლავი არ მენახოს. ახლაც მეგობრების დიდი ჯგუფისა და ყოფილი პარტიზანების თანხლებით ცოცხალი ყვავილებით შევამკეთ იგი, თუმცა აქ ყურადღება და ყვავილები ყოველთვის მოჭარბებულია. მაგრამ ამჯერად ეს არ იყო მთავარი, პარტიზანთა მემორიალი მთლიანად შეცვლილი დამხვდა. შარშან, გამარჯვების 50 წელთან დაკავშირებით, ქალაქ არონის მუნიციპალიტეტისა და პარტიზანთა ადგილობრივი ასოციაციის (რომლის პრეზიდენტია ჩვენი ძველი მეგობარი, საქართველოში არაერთხელ ნამყოფი ლუჩანო დელ ტორჯიო) ინიციატივით მემორიალის სრული რეკონსტრუქცია განუხორციელებიათ, მისთვის სულ ახალი, ძალზე საინტერესო და თანამედროვე სახე მიუციათ. მემორიალის ძველი ატრიბუტებიდან მხოლოდ ერთი — 25 წლის წინათ ჩვენი დელეგაციის მიერ საქართველოდან ჩატანილი გრანიტის საფლავის ქვა დაუტოვებიათ, რომელსაც სპილენძის მრავალ ბარელიეფზე შუბით განგმირული ლომის გამოსახულება და მის ირგვლივ ქართულ და იტალიურ ენებზე ამოტვიფრული დიდი შოთას უკვდავი სიტყვები ამშვენებს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი".

ვახტანგ ესვანჯია.

(8 მაისი 1996 წ.).

არონა, მილანი, პალერმო.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ნოდარ ქებაძე დაინიშნოს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე
ედუარდ სურმანიძე.

თბილისი, 1996 წლის 1 მაისი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს პარლამენტის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დროებითი კომისიის თავმჯდომარის არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

თეიმურაზ ხურციძე არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დროებითი კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე
ედუარდ სურმანიძე.

თბილისი, 1996 წლის 1 მაისი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში ცვლილებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. გამოყვანილ იქნენ ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატის" წევრები: ზაზა პატარიძე და შალვა ჩხაიძე — საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, მერაბ ჩხაიძე — თავდაცვისა და უშიშროების, თამაზ ხუხუნაშვილი — საპროცედურო საკითხთა, ირაკლი მერებაშვილი — აგრარულ საკითხთა, გიორგი გოგნიაშვილი — საგარეო ურთიერთობათა, გიზო (გია) მჭედლიძე — თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის, ელდარ ჩერქეზიშვილი — დარგობრივი ეკონომიკის, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" წევრები ნესტორ (მამუკა) ხურცილავა — საპროცედურო საკითხთა, ზაზა კანდელაკი — თავდაცვისა და უშიშროების, გიორგი ჯაყელი — საგარეო ურთიერთობათა, ავთანდილ გელაძე — თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტების შემადგენლობიდან.

2. არჩეულ იქნენ ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატის" წევრები: მერაბ ჩხაიძე და ვახტანგ ტალახაძე — ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, შალვა ჩხაიძე — თავდაცვისა და უშიშროების, გიორგი გოგნიაშვილი — საპროცედურო საკითხთა და ვანო ხუხუნაიშვილი — საგარეო ურთიერთობათა, ირაკლი მერებაშვილი — თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის, გიზო (გია) მჭედლიძე — დარგობრივი ეკონომიკის, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" წევრები: ავთანდილ გელაძე — საპროცედურო საკითხთა, გიორგი ჯაყელი — თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე
ედუარდ სურმანიძე.

თბილისი, 1996 წლის 1 მაისი.

შეხვედრა სომხეთის ეროვნული კრების დეპუტატთა ჯგუფთან

7 მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია შეხვდა სომხეთის ეროვნული კრების დეპუტატთა ჯგუფს. შეხვედრას ესწრებოდნენ სომხეთის რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრი ჰრაჩია თამრაზიანი, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კახა ჩიტაია, პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლის რეგიონში ლევან მამალაძე, გაზეთ „ვრასტანის" მთავარი რედაქტორი ვან ბაიბურთი.

სომხეთის დელეგაცია მონაწილეობდა გაზეთ „ვრასტანის" 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოში.

შეხვედრაზე ილაპარაკეს საქართველოსა და სომხეთის მეგობრულ კონტაქტებზე. აღინიშნა, რომ „ვრასტანი" ერთ-ერთი უძველესი სომხურენოვანი გაზეთია მთელს ამიერკავკასიაში და ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს ორი მეზობელი ხალხის ტრადიციულად კეთილ ურთიერთობაზე.

პარლამენტის პრესსამსახური.

თქვენ რამდენს გიკავებენ?

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშების წესის შესახებ

მკითხველის თხოვნით

როგორც ჩვენს რედაქციაში და საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შემოსული მრავალრიცხოვანი შეკითხვებიდან ირკვევა, ხშირად ადგილებზე არასწორად ახდენენ ფიზიკურ პირთა (მუშა-მოსამსახურეთა) საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებას. აღნიშნულის გამო უმეტესწილად გადასახადს მოქალაქეებს ახდევინებენ გადიდებული ოდენობით, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ისედაც მცირე ხელფასის მქონეთა მხრივ. როგორც ჩანს, ასეთი შეცდომები აღრიცხვის მუშაკებს მოსდით სათანადო ნორმატიული აქტების უქონლობის ან ამ აქტების არასწორი გაგების გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ ვთვლით პრესის მეშვეობით მოხდეს ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშების ოფიციალური განმარტება.

„ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ" საქართველოს 1993 წლის 24 დეკემბრის კანონის შესაბამისად ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს კალენდარული წლის განმავლობაში ნაზარდი ჯამით მიღებული როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით მიღებული ერთობლივი შემოსავალი.

ნატურალური ფორმით მიღებული შემოსავალი წლიური ერთობლივი შემოსავლის შემადგენლობაში აღირიცხება სახელმწიფოს რეგულირებადი ფასებით. ხოლო მათი არარსებობისას თავისუფალი (საბაზრო) ფასებით.

საქართველოს 1996 წლის 9 თებერვლის კანონის შესაბამისად ფიზიკური პირის ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის შემადგენლობაში არ შეიტანება: სახელმწიფო სოციალური დახმარება და შემწეობა, პენსია, სტიპენდია, დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარ დაზიანებასთან დაკავშირებით შრომისუნარიანობის დაკარგვისას ზიანის ასანაზღაურებელი თანხა, მარჩენალის დაკარგვის გამო მიღებული თანხა, მივლინებისათვის განკუთვნილი სახსრები, სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო ვითარების გამო მიღებული დახმარება, სახელმწიფო სესხის ობლიგაციებიდან მოგებისა და განაღდების თანხა, საბანკო დაწესებულებებში ანაბრების მიხედვით მიღებული მოგება, დონორობასთან და სისხლის შეგროვებასთან დაკავშირებული შემოსავალი, ფიზიკური პირის მიერ მიღებული ალიმენტი, მოქალაქის საკუთრებაში არსებული ქონების გაყიდვით მიღებული თანხა, პირად მეურნეობაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი.

გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან ბავშვობიდან ინვალიდები, მხედველობის მიხედვით პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, ომის ვეტერანები, „ქართვლის დედის" წოდების მქონე პირები. პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს (გარდა ზემოთჩამოთვლილებისა) გადასახადის ოდენობა უმცირდებათ 50 პროცენტით.

გარდა ამისა, ფიზიკურ პირთა ერთობლივი შემოსავალი გადასახადით დაბეგვრის პერიოდში მცირდება საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის თანხით (6 ლარი) შემოსავლის მიღების თითოეულ სრულ თვეზე. ამასთან გაუქმდა ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას დაწესებული კმაყოფაზე მყოფთა შეღავათები, რომლის მაქსიმუმი თვეში შეადგენდა შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების სამმაგ ოდენობას (4,5 ლარი).

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი დასაბეგრი შემოსავალი 10 ლარამდე იბეგრება საშემოსავლო გადასახადით 12 პროცენტის ოდენობით, 10-დან 20 ლარამდე — 1,2 ლარს დამატებული 10 ლარის ზევით შემოსავლის 15 %, 20-დან 30 ლარამდე — 2,7 ლარს დამატებული 20 ლარს ზევით შემოსავლის 17 %, ხოლო 30 ლარზე მეტი — 4,4 ლარს დამატებული 30 ლარზე ზევით შემოსავლის 20 %.

აღნიშნული საგადასახადო განაკვეთების მიხედვით გადასახადის ოდენობა კონკრეტულ მაგალითში, როდესაც ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი თვეში შეადგენს 15 ლარს, შემდეგ სახეს ღებულობს:

ერთობლივი შემოსავლის დარიცხვის პერიოდი კალენდარული წლის დასაწყისიდან	დარიცხული ერთობლივი შემოსავალი	დაუბეგრავი მინიმუმი	ერთობლივი დასაბეგრი შემოსავალი	საშემოსავლო გადასახადი წლის დასაწყისიდან პერიოდში	საშემოსავლო გადასახადი საანგარიშო თვეში
იანვარი	15	6	9	9 - ის 12 % = 1,08	1,08
2 თვე	30	12	18	1,2 ლარს + 8 ლარის 15 % = 2,4	1,32
3 თვე	45	18	27	2,7 ლარს + 7 ლარის 17% = 3,89	1,49
4 თვე	60	24	36	4.4 ლარს + 6 ლარის 20 % = 5,6	1,71
5 თვე	75	30	45	4,4 ლარს + 15 ლარის 20 % = 7,4	1,8
6 თვე	90	36	54	4,4 ლარს + 24 ლარის 20 % = 9,2	1,8
7 თვე	105	42	63	4,4 ლარს + 33 ლარის 20 % = 11,0	1,8
8 თვე	120	48	72	4,4 ლარს + 42 ლარის 20 % = 12,8	1,8
9 თვე	135	54	81	4,4 ლარს + 51 ლარის 20 % =14,6	1,8
10 თვე	150	60	90	4,4 ლარს + 60 ლარის 20 % = 16,4	1,8
11 თვე	165	66	99	4,4 ლარს + 69 ლარის 20 % = 18,2	1,8
წელი	180	72	108	4,4 ლარს + 78 ლარის 20 % = 20,0	1,8

დივიდენდების სახით მიღებულ შემოსავალზე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 1996 წლის თებერვლიდან დაწესდა 10 პროცენტის ოდენობით.

გივი ერქომაიშვილი,
საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე.

დახმარება გრძელდება

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაციამ თავისი წარმომადგენლობა საქართველოში გახსნა 1993 წელს, შინაგანი კონფლიქტებისა და ეკონომიკური კრიზისისაგან დაუძლურებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. დღიდან დაარსებისა წარმომადგენლობის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების განვითარება და მისი ხელშეწყობა.

მალე ფედერაცია, საქართველოში მოქმედ სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტების შედეგად იქცა ერთ-ერთ აქტიურ ორგანიზაციად, რომელიც ლტოლვილებსა და ბავშვებს დახმარების პროგრამით გათვალისწინებულ სურსათს, ჰიგიენურ საშუალებებს, მედიკამენტებსა და პირველი მოხმარების სხვა საგნებს აწვდიდა.

საქართველოში ნაკლებადუზრუნველყოფილი ოჯახები რომ მრავლად არიან, ეს კარგად იცის საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის რეგიონულმა წარმომადგენლობამ, მაგრამ დროთა განმავლობაში გამოიკვეთა მოსახლეობის ის ძირითადი კატეგორია, რომელსაც პირველ რიგში სჭირდებოდა თანადგომა. ესენი არიან ფსიქიურად დაავადებულნი და სოციალურად დაუცველნი და ფედერაციამ ყურადღება სწორედ მათკენ მიაპყრო.

ახლახან საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს 1995 წელს დაწყებული პროგრამის გაგრძელებასა და გაფართოებას, რომელიც ზემოაღნიშნული კატეგორიის ავადმყოფების დახმარებას ითვალისწინებს. ორპროექტიანი („ქრონიკული ფსიქონევროლოგიური მედიკამენტები" და „მედიკამენტები ქრონიკულად ავადმყოფი მარტოხელა მოხუცებისათვის") ფარმაცევტული დახმარების პროგრამის დონორია ნიდერლანდის მთავრობა, რომელიც ამ ჰუმანურ აქციას ნიდერლანდის წითელი ჯვრის მეშვეობით განახორციელებს.

დღეს, სამედიცინო რეფორმის პირობებში, ეს პროგრამა უთუოდ შეუწყობს ხელს უმწეო, სავალალო მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას.

ბექა ჭედია.

ჩვენი ომიც იყო, გამარჯვებაში ჩვენი



„ასეთებს ისტორია არ ივიწყებს"...

ლორდთა პალატაში ი. ბ. სტალინის დაბადების დღესთან დაკავშირებით უ. ჩერჩილის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან.

რუსეთისათვის დიდი ბედნიერება იყო, რომ მძიმე განსაცდელის ჟამს, რუსეთს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და ურყევი მხედართმთავარი ი. ბ. სტალინი, იგი იყო გამორჩეული პიროვნება...

სტალინი იყო უჩვეულო ენერგიის, ერუდიციის, ურყევი ნებისყოფის, უხეში, მკაცრი, შეუბრალებელი, როგორც საქმეში, ასევე საუბარშიც, ვისთანაც — მეც კი, — ინგლისის პარლამენტში აღზრდილმა ვერ შევძელი (არც შემეძლო), რომ დავპირისპირებოდი.

სტალინს, უწინარეს ყოვლისა, ჰქონდა დიდი იუმორი, სარკაზმი, ასევე თავისი აზრების ზუსტად გამოთქმის უნარი.

სტატიებსა და სიტყვებს მხოლოდ თვითონ წერდა და მის ნაწარმოებებში ყოველთვის ჟღერდა შემსრულებლის ძალა.

ეს ძალა სტალინში იმდენად დიდი იყო, რომ ყველა ხალხისა და დროის ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის განუმეორებელი ჩანდა.

სტალინი ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა, ადამიანებზე მისი გავლენა უცილობელი იყო.

როცა ის იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ თითქოს ბრძანებაზე ვდგებოდით და საოცარია, რატომღაც ხელები შარვლის ნაკერების გასწრივ გვქონდა გაჭიმული.

იგი ღრმა, ლოგიკურ და გააზრებულ სიბრძნეს ყოველგვარი პანიკიორობის გარეშე ფლობდა. ძნელ წუთებში და გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის უბადლო ოსტატი იყო, ყველაზე კრიტიკულ და სახიფათო მომენტებში — ერთნაირად თავშეკავებული. არასდროს არ ეძლეოდა ილუზიებს. იგი უჩვეულოდ რთული პიროვნება იყო. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა იმპერია, ეს იყო კაცი, რომელიც თავის მტერს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა, გვაიძულებდა ჩვენ, რომელთაც დაუფარავად იმპერიალისტებს გვიწოდებდა, იმპერიალისტების წინააღმდეგ გვებრძოლა, სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც ტოლი არ ჰყავდა.

მან მიიღო ხისკავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი.

შეუძლებელია, მასზე არ ილაპარაკონ, ასეთებს ისტორია არ ივიწყებს.

1959 წლის 21 დეკემბერი.
ლონდონი.

რაც დავიწყებით არ იბინდება

პოეტის მონათხრობი

ის, ვინც ახლოს იცნობდა ჩვენს სასიქადულო პოეტს იოსებ ნონეშვილს, დამეთანხმება, როგორი აღფრთოვანება იცოდა, როგორ უყვარდა სწრაფად გამოხმაურებოდა ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას. განსაკუთრებით კი, მაშინ, როცა იგი ჩვენი ქვეყნის დიდებას, ჩვენი, ქართველი კაცის გმირობას ეხებოდა.

გაზეთ „კომუნისტის" 1972 წლის 19 აპრილის ნომერში გამოვაქვეყნე ნარკვევი იტალიაში გმირულად დაღუპულ ქართველ ვაჟკაცზე გიორგი ვარაზაშვილზე — კაპიტან მონტიზე. წერილში მოთხრობილი იყო: როგორ მოხვდა 1944 წლის გაზაფხულზე გერმანელი ფაშისტების მიერ დატყვევებული საბჭოთა ოფიცერი გიორგი ვარაზაშვილი იტალიაში, სხვებთან ერთად მოახერხა ტყვეობიდან გაქცევა, შეუერთდა იტალიის პარტიზანულ რაზმს და მათ რიგებში ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოდა. 1945 წლის 6 თებერვალს ერთ-ერთი ბრძოლის დამთავრების შემდეგ, გიორგი ორ თანამებრძოლ იტალიელთან ერთად დაზვერვაზე გაგზავნეს. აქ ისინი ჩასაფრებულ მტერს გადააწყდნენ. უთანასწორო ბრძოლაში გიორგი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა და როცა ტყვია-წამალი გამოელია და აშკარა ტყვედ ჩავარდნის საშიშროება შეექმნა, ფაშისტებს არ დანებდა, გულზე ხელყუმბარა აიფეთქა, მხოლოდ ასეთნაირად შეწყვიტა წინააღმდეგობა. ქართველი ვაჟკაცი იტალიელმა თანამებრძოლებმა ღირსეულად დააფასეს. იგი მხედრული მამაცობისათვის ვერცხლის მედალზე წარადგინეს.

ნარკვევში აღნიშნული იყო: როგორ ეძებდნენ გიორგის ახლობლებს იტალიელი თანამებრძოლები, კერძოდ, ბატონი რინალდო დალ მასი. მან 1970 წელს საქართველოში წერილი გამოგზავნა და ნათესავებს შორეულ კახეთში ატყობინებდა, რომ იქ, იტალიაში, გიორგის ვაჟიშვილი დარჩა, რომელსაც მამის ნათესავებთან შეხვედრა სურდა, აცნობდა, აგრეთვე, რომ იტალიის მთავრობას გიორგის სრული დამოწმებული ბიოგრაფიული ცნობების წარდგინება სჭირდებოდა, რათა სახელმწიფო ჯილდო მხედრული მამაცობისათვის მიეღო და ამით მისი სახელი უკვდავყოფილიყო.

ნარკვევს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რედაქციაში მოვიდნენ გიორგი ვარაზაშვილის ახლობლები, თანაკურსელები სამხატვრო აკადემიიდან, საინტერესო ცნობები მოგვაწოდეს მისმა ქართველმა თანამებრძოლებმა.

და აი, ერთ დღესაც რედაქციაში იოსებ ნონეშვილი გვესტუმრა. მითხრა, რომ იტალიაში შემოქმედებით მივლინებაში მიემგზავრებოდა, სურდა იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ქართველ პარტიზანებზე პოემა დაეწერა, მას ჩემი ნარკვევი უკვე წაკითხული ჰქონდა და მთხოვა: გიორგის იტალიელი თანამებრძოლის რინალდო დალ მასისა და მისი ვაჟის ჯორჯი ძამბონის მისამართი მიმეცა.

რასაკვირველია, ყველაფერი, რაც მაშინ ვიცოდი გიორგის ბიოგრაფიიდან, პოეტს ვუამბე, ვაჩვენე მეტად საყურადღებო ცნობა, ჟურნალიდან ამოღებული ფოტომასალა, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა გამომიგზავნეს. იგი ეხებოდა არასწორ ინფორმაციას, სადაც გიორგი ვარაზაშვილი — კაპიტანი მონტი, იოსებ სტალინის შვილად — იაკობ ჯუღაშვილად იყო მონათლული. ეს სენსაციური ამბავი იმ ხანად იტალიაში გახმაურებული იყო და ამან ერთგვარად შეაფერხა კიდეც გიორგი ვარაზაშვილის დროული დაჯილდოება.

გავიდა რამდენიმე ხანი და იოსები იტალიიდან დაბრუნდა. მას გიორგის დისწულის შოთა ბაზერაშვილის ოჯახში შევხვდი. იოსები მისთვის ჩვეული მჭერმეტყველებით გვიამბობდა, როგორ დიდი გაჭირვებით შეძლო მოხვედრილიყო ჩრდილოეთ იტალიაში. იმ ხანად იქ ნატოს ჯარები იდგა და საბჭოთა პოეტს, სპეციალური ნებართვის გარეშე, იოლად არ შეუშვებდნენ. ამ საქმეში მისთვის დიდი დახმარება იტალიელ პოეტებს გაუწევიათ. ვენეციიდან გამოიძახეს ბატონი რინალდო დალ მასი და ისიც ქართველი პოეტის შესახვედრად ვიტორიო ვენეტოში ჩავიდა. აქვე იყო ჯორჯო ძამბონიც, რომლისთვისაც რინალდოს ადრე შეეტყობინებინა საქართველოდან ჩამოსული ძვირფასი სტუმრის თაობაზე.

იოსები გვიყვებოდა, როგორ შეხვდა ჯორჯოს, მისი აღწერით იგი ტიპიური ქართველი იყო, საშუალო ტანის, მკვირცხლი, მომღიმარი სახის. იოსებმა გულში ჩაიკრა გმირის შვილი. იგი პირველი ქართველი იყო, რომელსაც ჯორჯო შეხვდა. აღელვებულმა ჭაბუკს უთხრა, რომ იგი საქართველოს იმ კუთხის, — კახეთის — შვილია, სადაც მამამისი დაიბადა და ჭაბუკობის წლებიც თბილისში, იმ უბანში გაატარა, სადაც გიორგი ვარაზაშვილი ცხოვრობდა.

რინალდომ ქართველ პოეტს დაათვალიერებინა ის ადგილები, სადაც მათ პარტიზანულ ნაწილს უხდებოდა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლები. აიყვანა მთებში, აჩვენა სოფელი, გიორგის მეგობარი ქალი პაოლა — ჯორჯოს დედა რომ ცხოვრობდა.

ქართველი პოეტის შესახვედრად მაშინ თურმე მთელი სოფელი გამოსულა. — იტალიელებს კარგად ახსოვდათ კაპიტან მონტის თავდადება და ყველა, ვინც კი პარტიზანული ბრძოლების მონაწილე იყო, ცდილობდა, სტუმრისათვის მოეთხრო მისი მხედრული მამაცობის ამბავი. აჩვენეს ბორცვი ვიტორიო-ვენეტიდან ხუთი-ექვსი კილომეტრის მოშორებით, სადაც გიორგიმ ფაშისტების ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა. აჩვენეს, აგრეთვე, ის ადგილი, მღვდელმა პირველად რომ დამარხა. აქედან კი ქართველი ვაჟკაცის ცხედარი საძმო საფლავზე გადაასვენეს.

იოსები მღელვარებას ვერ ფარავდა, ამ ამბებს რომ გვიყვებოდა. მოგვითხრო, როგორ მოინახულა გიორგის საფლავი, სადაც საქართველოდან წაღებული კახური ღვინით მისი შესანდობარი წარმოთქვა. წესისამებრ, დოქს პირი საფლავზე წაუქცია და მშობლიური ღვინო მოაპკურა. პატარა ყანწით ჯორჯომ, მისმა დედის ძმამ, რომელიც აგრეთვე, გიორგის თანამებრძოლი იყო და რინალდო დალ მასმა კახური ღვინით გიორგის შესანდობარი დალიეს.

კიდევ ბევრი საინტერესო გვიამბო პოეტმა იტალიაში გატარებულ დღეებზე; გვითხრა, რომ უკვე დაიწყო პოემაზე მუშაობა. მაშინ კი ერთი პატარა ნაწყვეტი წაგვიკითხა მომავალი პოემიდან:

„იტალიის მთებში, ვენეციის ახლოს, სადაც ფერდობებზე, ნისლი დაბალახობს, სადაც მწვანე ფშანი გასდევს ზვრებს და ახოს, ერთი შავგვრემანი, ყმაწვილკაცი სახლობს. გოგი — პაი, გოგი! — გასძახიან ხშირად... ხან უხმობენ ჯორჯიდ, ხან ქართველის შვილად... ეს სახელი: გოგი, ზოგს ღიმილსაც მოჰგვრის... უთქვამთ გოგი, თურმე, ჯორჯის ნიშნავს ხადლაც. შორს, ზვირთმოგუგუნე ლურჯი ზღვების გაღმა..."

იოსებმა საინტერესო ცნობა ჩამომიტანა გიორგის თანამებრძოლ პეტრე შიროკოვზე, რომელთანაც ერთად თავი დაუღწევია გერმანელთა ტყვეობიდან და იქ, იტალიაში განუყრელი მეგობრები ყოფილან, ამის საფუძველზე გადავწყვიტე მომეძებნა პეტრე შიროკოვი, რომ უფრო სრულყოფილი მასალები მომეპოვებინა გიორგი ვარაზაშვილის საბრძოლო ცხოვრებაზე.

ეს ძიება უკვე შემდგომშიც გავაგრძელე და ასე შეიქმნა ჩემი წიგნი „კაპიტანი მონტი", რომელიც 1979 წელს გამოვაქვეყნე.

ლარისა ხუგულური.



სტუმარი
საქართველოს რესპუბლიკა
№ 50

გვერდი მოამზადეს ლეილა კოშკაძემ და შოთა მაჭარაშვილმა.

გიორგი გიორგაძე

კაპიტან ვ. იაშვილს, რომელიც დაიღუპა „ბაგრატიონის" გეგმის განხორციელების დროს

არც შენ, არც შენს მტრებს ადგათ საშველი,
ილევება სისხლი, ღამე ცივია,
ვანო დაეცა აქ იაშვილი,
ვეღარც ყორნების გუნდნი ყივიან!

დაეცა, მაგრამ არცკი გაქრება
მისი ქუხილის მადლის სიუხვე,
შვენოდა, როგორც არწივს გაფრენა,
ჯიხვს დაკიდება რქებით კიუხზე.

ახლა სამშობლოს ხევდა ჩახწივის,
და ცხელი გული საფლავში გმინავს, —
უბედურებამ რომ მთის არწივი
ამ ჯოჯოხეთში ჩამოაფრინა,

და არ აღირსა მკვრივიც, ფაქიზიც,
მტკვარზეც, არაგვზეც ეგო ხიდები,
რომ დამლოცველი ხმა არხაკიძის
ციდან ესმინა გულდამშვიდებით.

არა, არასდროს დაიფერფლება
კაცური კაცის მადლის სიუხვე,
თუ შვენის, როგორც არწივს გაფრენა,
ჯიხვს დაკიდება რქებით კიუხზე!

1943 წ.

აკაკი ჩხაიძე

ომში დაღუპული მეგობრების ხსოვნას

თქვენ ცოცხალი ხართ,
თქვენ არ ბერდებით,
სიცოცხლეს ფესვი ძნელად უხმება
დღესაც რომ გიხმონ, ამომხედრდებით
და ჩარიგდებით, ისევ მუხებად.

დრო ვერ გიციებთ გულებს ცეცხლიანს,
აქამდე გვესმის თქვენი ქართული,
ჩვენში ყველა მთა მართლაც ძეგლია,
თქვენს საფლავებზე წამომართული.

არვინ გაბედოს მოხდეს ნავსად,
თორემ კვლავ ერთი ათასს ვეყოფით,
ვინ გადმოლახავს მამულის საზღვარს,
თქვენი ნეკნების მესრით შეღობილს.

თქვენ ცოცხალი ხართ,
თქვენ არ ბერდებით,
სიცოცხლეს ფესვი აღარ უხმება,
დღესაც რომ გიხმონ, ამომხედრდებით
და ჩარიგდებით, ისევ მუხებად.

ღვაწლი

სტალინგრადის მისადგომებთან, დუბოვკის რაიონში, ფაშისტები დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ცდილობდნენ. კონტრშეტევაში მტრის სახმელეთო შენაერთებთან და არტილერიასთან ერთად ავიაციის დიდი ძალებიც მონაწილეობდნენ...

ზეცაში აიჭრნენ საბჭოთა თვითმფრინავები, ერთ-ერთ გამანადგურებელს მართავდა კაპიტანი ნიკოლოზ აბრამიშვილი... ტყვიამფრქვევის მიჯრითი ცეცხლით თავისი მანქანა დიდი სიჩქარით მიმართა მტრის წინამძღოლი თვითმფრინავისკენ. გამოცდილი გერმანელი მფრინავი, თავისი მანქანის ტექნიკური შესაძლებლობების წყალობით, აბრამიშვილს ხელიდან გაუძვრა. მისი მოტყუებაც სცადა, მაღლა აიჭრა, ღრუბლებში გაუჩინარდა და მაშინვე დაბლა დაეშვა, რომ ზემოდან კუდზე „დაჯდომოდა" მოწინააღმდეგეს. აბრამიშვილი გერმანელს ეშმაკობას მიუხვდა, თავადაც მკვეთრად დაეშვა დაბლა, მტერი აიძულა მას მიჰყოლოდა და მიწას დანარცხებოდა.

ამ ბრძოლაში იგი დაიჭრა, მაგრამ დაზიანებული თვითმფრინავი უვნებლად დასვა აეროდრომზე.

გაელვებული სიცოცხლე

ნიკოლოზ აბრამიშვილი 1918 წელს ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში დაიბადა, იგი ბავშვობიდანვე მერცხებე და ჩხირკედელა ბიჭი ყოფილა.

მშობლები ნიკოლოზის დაჟინებული მოთხოვნით იძულებული გახდნენ შვილი მოსკოვში, ქალაქ პუშკინოს საავიაციო სპლანერო სკოლაში გაეგზავნათ სასწავლებლად.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნიკომ გორის აეროკლუბში გააგრძელა სწავლა და „უ-2" ტიპის თვითმფრინავით დამოუკიდებლად დაფრინავდა, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა ახალგაზრდა კაცს. მან ქალაქ სტალინგრადის სამხედრო საავიაციო სკოლაში ჩააბარა მისაღები გამოცდები, ხოლო 1940 წელს, სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, უკვე ლენინგრადის ოლქში განლაგებულ ერთ-ერთ საავიაციო სამხედრო ნაწილში დაიწყო სამსახური.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ჩაება ბრძოლაში. იცავდა ლენინგრადის საჰაერო სივრცეს, სადაც საჰაერო ბრძოლებში მტრის ოთხი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

1942 წლის გაზაფხულზე სტალინგრადის მიმართულებით მდგომარეობა გართულდა. ამის გამო მთავარსარდლის ბრძანებით სხვა გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად მფრინავებიც შეარჩიეს და სტალინგრადის დასაცავად გაგზავნეს. კაპიტანი ნიკოლოზ აბრამიშვილი სტალინგრადის მე-13 ავიაგამანადგურებელი პოლკის ესკადრილიის მეთაურად დაინიშნა.

1942 წლის 26 ნოემბერს ნიკოლოზ აბრამიშვილის ესკადრილიას მოიერიშეების დაცვის დროს მტრის ჭარბ ძალებთან მოუხდა შერკინება. ყველაფერი ერთმანეთში აირია, მაგრამ ნიკოლოზ აბრამიშვილი არ დაიბნა, რთული მანევრით მოახერხა მტრის თვითმფრინავისათვის უკან „კუდზე" შესვლა და ტყვიამფრქვევის ჯერით მას ცეცხლი გაუჩინა. ამით შერკინება არ დამთავრებულა, მას ისევ მოუხდა ბრძოლაში ჩაბმა თანამებრძოლის დასახმარებლად, რომელსაც ორი „მესერშმიდტი" უტევდა. მკვეთრად შემობრუნდა, თვითმფრინავი ცეცხლით უშიშრად მტრისაკენ მიმართა.

ეს უკვე მტრის მე-9 ჩამოგდებული თვითმფრინავი იყო მის ანგარიშზე...

სულ მალე მან ახალი დავალება მიიღო. სტალინგრადის მისადგომებთან „პიტომნიკში" განლაგებული მტრის აეროდრომის დასაბომბად მიმავალი მოიერიშეები უნდა დაეცვა. პოლკის მეთაურმა მფრინავები შეარჩია. მიუხედავად ჭრილობებისა, ნიკოლოზი მეთაურისაგან გაფრენის ნებართვას კატეგორიულად ითხოვდა. ბოლოს იმის დასამტკიცებლად, რომ ბრძოლა შეეძლო, ყავარჯნებიც კი მოისროლა და მეთაურისკენ გაემართა. ბოლოს და ბოლოს მან მიიღო ბრძოლაში მონაწილეობის უფლება. ისევ უთანასწორო ბრძოლაში მოუხდა ჩაბმა და მტრის მეათე თვითმფრინავის ჩამოგდებაც შეძლო, მაგრამ ამ ბრძოლაში მისი თვითმფრინავიც დაზიანდა. ნიკოლოზს შეეძლო პარაშუტით გადმოხტომა და სიცოცხლის შენარჩუნება, მაგრამ მან მტრის ტერიტორიაზე დაშვებას და ტყვეობას გმირულად სიკვდილი არჩია. ალმოდებული თვითმფრინავი მტრის აეროდრომზე თავმოყრილი საბრძოლო ტექნიკისაკენ მიმართა...

ნიკოლოზ აბრამიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა გაიმეორა „გასტელლოს" გმირობა, შეასრულა „ცეცხლოვანი ტარანი", თავადაც დაიღუპა და მტერსაც დიდი ზარალი მიაყენა.

ეს მოხდა 1942 წლის 30 ნოემბერს. მაშინ ის სრულიად ახალგაზრდა, 23 წლის ჭაბუკი იყო.

ნიკოლოზ აბრამიშვილი 1942 წლის 30 აგვისტოს სტალინგრადის ფრონტის სამხედრო საბჭოს და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით დაჯილდოვებულია „წითელი დროშის ორდენით".

სამხედრო ნაწილში, სადაც ის მსახურობდა, დღესაც ახსოვთ და მის პირად საბრძოლო ხელოვნებაზე ზრდიან ახალგაზრდა მფრინავებს. ამან განაპირობა ის, რომ ამ სამხედრო ნაწილის ოფიცერთა საერთო კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ნიკოლოზ აბრამიშვილისათვის გმირის წოდების მინიჭების თაობაზე... სწორედ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე 1995 წლის 21 სექტემბერს დიდ სამამულო ომში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის ბრძანებით, ნიკოლოზ გიორგის ძე აბრამიშვილს სიკვდილიდან 54 წლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის გმირის წოდება მიენიჭა. ეს იყო აღიარება, დაფასება ღვაწლისა, დიდი ხნის შემდეგ, მაგრამ მაინც აღიარება.

ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში, ნიკოლოზ აბრამიშვილის მამაპაპისეულ მიწაზე, 1987 წელს გაკეთდა შინმოუსვლელთა ობელისკი (მემორიალის აგების ორგანიზება ნიკოლოზ აბრამიშვილის სკულპტურული გამოსახულებით ითავა ნიკოლოზის ძმამ შოთა აბრამიშვილმა).

ახლახან ბორჯომის რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საერთო კრებაზე გამოითქვა სურვილი დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა „ხსოვნის" დღესასწაულის აღდგენის თაობაზე, რომელიც ყოველი წლის 18 აგვისტოს გაიმართება. სასურველია, მან საერთო რესპუბლიკური ხასიათი მიიღოს.

დაგვიანებული მადლობა

დღეს როდესაც ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების 51-ე წლისთავს აღვნიშნავთ, დიდი სურვილი მაქვს ეს დღე მივულოცო ყველა ომის ვეტერანს და განსაკუთრებით ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანების მკვიდრს, ამავე სოფლის უხუცეს თავკაცს ბატონ გივი წითლიძეს.

ბატონ გივის ჩემი წარდგენა არ სჭირდება საზოგადოებრიობის წინაშე, იგი თავისი კაცურკაცობით, დიდი მამულიშვილობით ამშვენებს არა მარტო ოზურგეთის რაიონს, არამედ მთელ რესპუბლიკას. მისი საქმიანობა ყოველთვის იყო მაგალითი ყველა თაობის ადამიანისათვის. ყველგან სადაც კი უმუშავია, ნათელი კვალი აქვს დატოვებული.

მინდა გავიხსენო ბატონი გივის უამრავი სიკეთიდან ერთ-ერთი, რომელიც მე მეხება.

ამ 7-8 წლის წინათ „საქაგრომრეწვში (ამჟამინდელი სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო) ვმუშაობდი, დამევალა მეგზურობა გამეწია ბალტიისპირეთიდან ჩამოსულ 35-კაციანი ჯგუფისათვის, რომელსაც ნატანებელთა საქმიანობის გაცნობა შესწავლა აინტერესებდა.

„არია" იმდროინდელ მთელს სსრკ-ში ცნობილი კოოპერატივი იყო, რომელიც თვითდაფინანსებით მუშაობდა.

შემოდგომა იდგა და ნატანებლები მანდარინის მოსავალს იღებდნენ. სტუმრები, რომელთაც პირველად ჰქონდათ საშუალება თავისი ხელით მოეკრიფათ ციტრუსი, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ბატონმა გივიმ ჩვეული სტუმარ-მასპინძლობით მიიღო ისინი. სტუმართა სადღეგრძელო გერმანულ ენაზე შესვა. რამდენსაც მოკრეფთ, იმდენი წაიღეთო, განუცხადა ახალგაცნობილ მეგობრებს წასვლის წინ.

როცა გაიგო, რომ სოფელ ოზურგეთშია ჩემი ფესვები და ომში უგზოუკვლოდ დაკარგულის შვილი ვარ, ბატონი გივი განსაკუთრებული სიყვარულით მომექცა.

ვუთხარი, რომ არ ვკარგავდი მამისეულ კარ-მიდამოს, შეძლებისდაგვარად ვუვლიდი მას, გარემონტებაც მქონდა გადაწყვეტილი.

მოგვიანებით იგი მისულა ჩემს სახლში, დაუთვალიერებია იგი და შემდეგი წერილი მომწერა: „ამ სახლის გარემონტება არ ღირს, ბაბუცია! სჯობს ახალი ააშენო" და თან ერთი მანქანა დატვირთული ხის მასალა მისაჩუქრა.

ბატონო გივი! ვინ იცის, რამდენ ჩემნაირ შინმოუსვლელის ოჯახს დაეხმარეთ, კიდევ რამდენს დაეხმარებით ალბათ... დაგვიანებული მადლობა მინდა გითხრათ სახალხოდ და ყველაფერი ამქვეყნიური კარგი გისურვოთ თქვენ და თქვენს დიდ ოჯახს, ბევრ გამარჯვების დღეს დაესწარით თქვენს შემორჩენილ თანამებრძოლებთან ერთად.

დიდი სიყვარულით —

ჯუმბერ ჩხაიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სამმართველოს უფროსი.

ვახტანგ გორგანელის ხსოვნას

ჩემი ვახტანგი

ჩემს არქივშია უნიკალური ფოტოპორტრეტი, 1942 წლის სექტემბერში სტალინგრადის ფრონტზე გადაღებული: უკვე ბრძოლაგამოვლილი 21 წლის ჭაბუკის სერიოზული გამომეტყველება, უხეშ ბეწვმოვლებული ფრონტული ტყავის ჯუბა, ჯარისკაცული, თბილი სამყურა ქუდი შუბლზე ვარსკვლავით... ეს გახლავთ ვახტანგ გორგანელის და არა მარტო მისი, — მთელი მისი თაობის სასიქადულო წარსულის მკაცრი დოკუმენტი...

ფოტოსურათი გადაღებულია 1942 წლის სექტემბერში, სულ რამდენიმე კვირის შემდეგ ვახტანგ გორგანელი გერმანული ტყვიით უნდა დაჭრილიყო, ხოლო სტალინგრადის საველე ფოსტას თბილისში მეომრის ლექსი ჩამოეტანა — ის ლექსი, რომ- თბილისში მეომრის ლექსი ჩამოუტანა — ის ლექსი, რომელიც წინ უძღვის ვახტანგ გორგანელის ლექსების ციკლს ქართული პოეზიის ანთოლოგიაში:

გუშინ ამ დროს იყო ბრძოლა, მტერთა ძლევა, —
ვერაგები ჩვენი შიშით დღესაც სწუხან,
მაგრამ ახლა ნატყვიარი ველზე ვწევარ,
და იმედად თავს მადგია ერთი მუხა...
იქნებ ფიქრობთ, — გორგანელი მტრების ტყვეა,
მე კი ახლა სისხლში ვცურავ
და ვიტოვებ უკანასკნელს ჩემთვის ტყვიას,
რომ მტერს დავხვდე ვაჟკაცურად!"

ვახტანგ გორგანელი ეკუთვნოდა პოეტების თაობას, რომელიც ეგრეთ წოდებულმა სამამულო ომმა მოუვლინა ქართულ მწერლობას; გაიზარდა ნაძალადევში — ჩვენი დედაქალაქის მუშურ რაიონში, მუშის ოჯახში, აქედან წავიდა იგი ომში და ომიდან მოვიდა პოეზიაში. მისი პოეზიისათვის დამახასიათებელია სწორედ მუშათა კლასის ზნეობრივი სისუფთავე და სიმხნევე. გორგანელის ლექსებში პოეზიის მოყვარულს ხიბლავდა გულწრფელობა, ომახიანი შეძახილი და ჯანსაღი ოპტიმიზმი.

წლები გადიოდა და ვახტანგ გორგანელის სამყარო ფართოვდებოდა, „სალამურებს" მოჰყვა პოეტის ოცზე მეტი წიგნი: „გზა მთებში" და „მთელი გულით", „დედოფლის მინდორზე", და „რჩეული", „ცეცხლი და ყვავილი" და მრავალი სხვა, რომლებიც თვალწინ დაგვიყენებენ პოეტის სახეს და არ დაგვავიწყებენ მას — სამშობლო ქვეყნის ერთგულ მეომარსა და მომღერალს...

თვალზე ცრემლით და გულში მადლობით ვეთხოვებით ქართველი პოეტები ვახტანგ გორგანელს, კაცს, სიკეთითა და ღირსებით სავსეს. გვჯერა, ქართული პოეზიის მკითხველისათვის მუდამ საინტერესო იქნება ვახტანგ გორგანელის პოეზია.

მურმან ლებანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილიც არის!

ისინი სიცოცხლეს სწირავდნენ



ირაკლი ციციშვილი

„**კურსკის** ბრძოლებში დამარცხებული გერმანელები უკან იხევდნენ, ფიურერის ისტერიული ბრძანებები სეტყვასავით ცვიოდა, „რაღაც არ უნდა დაჯდეს შეაჩერეთ წითელი არმიის „წინსვლა“. ამ ბრძანებების შესასრულებლად მდინარე დნეპრის სანაპირო საუკეთესო იყო მიჩნეული, რადგან ნაპირი საკმაოდ მაღალი და მიუდგომელი იყო.

საბჭოთა მთავარსარდლობამ დნეპრის გადალახვა შეუჩერებლად ბრძანა. ირაკლი ციციშვილის 269-ე ცალკე საინჟინრო ათასეულს 5 დღე-ღამის ვადა მისცეს, რათა ნაპირზე (სოფელ სვარომუსთან მისი სიგანე 360 მეტრი იყო) ხიდი აეგო. მტერი საინჟინრო ათასეულს არტილერიით, ტანკებით, განსაკუთრებით ავიაციით მასირებულ ცეცხლს უშენდა. მიუხედავად ოქტომბრის სუსხიანი დღეებისა და მტრის შემოტევისა ირაკლი ციციშვილის ათასეულმა დავალება ბრწყინვალედ შეასრულა და დიდად შეუწყო ხელი ჯარების დნეპრზე გადასვლას. სარდლობამ დააფასა საინჟინრო ათასეულის თავდადება და იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა. ათასეულის 250 მებრძოლი ჯარისკაცი და ოფიცერი სხვადასხვა ორდენითა და მედლით დაჯილდოვდნენ, ხოლო თვად ირაკლი ნიკოლოზის ძე ციციშვილს 1943 წლის 29 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ირაკლი ციციშვილი 1919 წლის 17 დეკემბერს თბილისში დაიბადა. მისი გმირული საბრძოლო ბიოგრაფია მოსკოვის მისადგომებიდან დაიწყო, მონაწილეობდა სტალინგრადის დაცვაში, კიევის განთავისუფლებაში.

ბატონი ირაკლი დიდი სამამულო ომის დამთავრებიდანვე პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრაზე მუშაობს. იგი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესწავლილია მრავალი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. იგი დღესაც აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. არის საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე, არქეოლოგიური გათხრების კონსულტანტი. მსოფლიო ძეგლთა დაცვის ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელი.

იმ მრავალ ორდენსა და მედალს შორის (ირაკლი ციციშვილი დაჯილდოებულია დიდი სამამულო ომის I ხარისხის, ალექსანდრე ნეველის, შრომის წითელი დროშის, ოქტომბრის რევოლუციისა და ლენინის ორდენებით), მის ბიოგრაფიას საქართველოს ღირსების ორდენიც ამშვენებს, რომელიც შარშან მის მიერ გაწეული ღვაწლის დასაფასებლად მიენიჭა.

გიორგი თვაური

ომის დამთავრებიდან ნახევარი საუკუნეზე მეტი გავიდა. ბევრი ომგადახდილი მებრძოლი აღარ არის ჩვენს გვერდით.

გიორგი თვაური, ვიცე-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი კასპის რაიონში სოფელ წინარეხში დაიბადა. ამჟამად იგი საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა.

... 1943 წლის 29 ივნისს საბჭოთა მფრინავების ჯგუფი მოულოდნელად თავს დაესხა ორიოლის აეროდრომს, რომელიც იმხანად გერმანელების ხელში იყო. მოწინააღმდეგემ ჰაერში აფრენაც ვერ მოასწრო, ჩვენმა მფრინავებმა იქაურობა გადაბუგეს. პირადად გიორგი თვაურმა, რომელიც ერთ-ერთ ლეგენდარულ „ილ-2“-ს მართავდა, მტრის ორ თვითმფრინავს წაუკიდა ცეცხლი.

გმირმა ქართველმა მფრინავმა „ილ-2“-ით 148 საბრძოლო გაფრენა განახორციელა, გაანადგურა მტრის 20 ტანკი, 40 ავტომანქანა, 3 რკინიგზის ეშელონი, 5 საწვავით სავსე ცისტერნა, 30-მდე საცეცხლე წერტილი და 20 ტყვიანი საზიდარი, ააფეთქა მტრის 4 გადასასვლელი და ოთხი თვითმფრინავი, დააზიანა და დახოცა 600-მდე მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი.

გიორგი თვაურის მიერ გამოჩენილი თავდადება და შეუპოვრობა ღირსეულად დაფასდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 23 თებერვლის ბრძანებულებით. გვარდიის ლეიტენანტ გიორგი თვაურს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ნიკოლოზ კალაძე

ისინი ვინც დიდ სამამულო ომში იბრძოდნენ, ყველა გმირია. იმ ქარცეცხლის გამოვლა, რასაც დღეს ჩვენ ფილმებში ვუყურებთ, მხოლოდ გმირებსა და განსაკუთრებული შემართების ხალხს შეეძლოთ. სწორედ ასეთი შემართების, წრთობის გახლავთ გენერალ-მაიორი ნიკოლოზ კალაძე. იგი 1909 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში დაიბადა. ბავშვობიდან მისი ოცნება მათემატიკოსობა ყოფილა, მაგრამ ომმა სამხედრო მოღვაწედ აქცია. იგი ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა ომის დასაწყისიდან დასასრულამდე და აქტიურად მონაწილეობდა როგორც თავდაცვით, ასევე შეტევით ბრძოლებში ლვოვის, ხარკოვის, სტალინგრადის მიმართულებით, ასევე კურსკის შვერილზე, უკრაინაში, ბელორუსიაში, პოლონეთსა და ბერლინის გრანდიოზულ ოპერაციებში. იგი ბრძოლებში 4-ჯერ არის დაჭრილი. ნ. კალაძე ამაყობს იმით, რომ სტალინგრადის ბრძოლის მონაწილეა.

მას სამამულო ომის თემაზე შექმნილი აქვს 16 კრებული. იგი თვითონ არის ამ გრანდიოზული ოპერაციების მონაწილე. მისი წიგნები მოგვითხრობს საბჭოთა ჯარების მძიმე ბრძოლებზე, ხალხის გმირობასა და თავდადებაზე, მათს სულიერ ძლიერებაზე და ქართველი მეომრების იმ წვლილზე, რომელიც მათ გამოიჩინეს ბრძოლის დროს.

ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის ნ. კალაძე დაჯილდოებულია ორი ლენინისა და ოთხი საბრძოლო წითელი დროშის, ორი სუვოროვის მე-2 ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მათ შორის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის „მამაცთა ჯვარითა“ და „ვირტუტი მილიტარის“ მედლით. ომის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ.

მაია ასაკაშვილი.

რედაქციისაგან: დღეს ჩვენს გაუსაძლის დროში თითქოს ყველაფერს ყავლი გაუვიდა. პოლიტიკოსთა ამბიციებს შეეწირა იმ ადამიანთა ღვაწლიც, ვინც ფაშიზმი დაამხო, ალბათ ამიტომაც დაჰკარგა სამშობლომ ფასი და იგი დღეს ზოგიერთებისთვის სამოვარია, ზოგისთვის კი იაფფასიანი ქულების დაგროვების ასპარეზი, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ მთელი ერი ასე უყურებდეს მას, სამშობლოს. მის მეხსიერებაში არ წაშლილა და ვერ წაიშლება ის გმირული შემართება, რაც დიდ სამამულო ომში ფრონტზე თუ ზურგში ხალხს შეუძლებელს აძლევინებდა.

დიდი სამამულო ომის თემას ისტორიკოსები და მწერლები კიდევ მრავალჯერ გამოეხმაურებიან. ამ წერილშიც გამოყენებულია მასალები აკადემიკოს კარლო [illegible] და სამხედრო საქმის მცოდნე ტრისტან ჩინჩილაკაშვილის წიგნებიდან. „საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან“, სადაც ღრმად და საფუძვლიანად არის აღწერილი ქართველ მეომართა მიერ განვლილი საბრძოლო გზა. ასეთი ნაშრომები ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო პატრიოტული აღზრდის ეროვნულ საქმეს ემსახურება, იმ გმირთა სახელების უკვდავყოფას, ვინც ფაშიზმი დაამხო მართალია საქართველოს საზღვრებს მიღმა, მაგრამ თავის სამშობლოსა და ხალხის მშვიდობას იცავდა.

37 ჯილდო ერთ ოჯახში

ვერა და მინა კობერიძეების ოჯახში მთავრობის პირველი ჯილდო — „სახელოვანი დედის“ ორდენი შვიდი შვილის მშობელმა და აღმზრდელმა დაიმსახურა.

ორ ქალიშვილს დედის სიკეთე და სათნოება დაჰყვა, ხუთ ვაჟს — მამის ვაჟკაცობა და გამბედაობა. მთელ ოჯახს კი მოყვასისა და ქვეყნის სიყვარული აერთიანებდა.

აკი სამამულო (რას იზამ, სამამულოს საზღვრები მაშინ ძალზე შორს გადიოდა) ომის დაწყებისთანავე მებრძოლთა რიგებში უყოყმანოდ ჩადგნენ იპოლიტე, ასტიონი, ზალიკო და ვანო.

30 წლის იპოლიტე 1942 წელს როსტოვის მისადგომებთან დაიღუპა.

ასტიონი მხედრული მამაცობისათვის „წითელი ვარსკვლავის“, „წითელი დროშის“, I და II ხარისხის სამამულო ომის ორდენებითა და 16 მედლით დაჯილდოვდა.

ზალიკო I და II ხარისხის ორდენის და ექვსი მედლის კავალერი გახდა.

ვანოს მკერდს უმშვენებს „საპატიო ნიშნის“ ორდენი და 7 მედალი, ხოლო საოჯახო არქივშია საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 5 საპატიო სიგელი.

9 მაისს ვერა და მინა კობერიძეების შთამომავლობა —37 ქართველი, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების დღეს ზეიმობს, პატივს მიაგებს იმ ადამიანთა ხსოვნას, ვინც „თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა“.

თეა ბერიძე.

იცნობდით



„სუ-25“

თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების მიერ გამოშვებული არმიული ერთადგილიანი ორძრავიანი მოიერიშე სუ-25 შემუშავებულია პ. ო. სუხოვის სახელობის საკონსტრუქტორო ბიუროში და განკუთვნილია მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის პირობებში ჯარების საცეცხლე მხარდაჭერისათვის.

ზებგერითი, საშუალო სიმაღლის, მაღალ მანევრული სუ-25-ის ძირითადი სამიზნეებია მოძრავი სახმელეთო ჯავშნიანი სამიზნეები, სახმელეთო თავდაცვის მოწყობილობები, შვეულმფრენი და დაბალი სისწრაფის თვითმფრინავები.

სუ-25 მაღალი საფრენოსნო თვისებებით გამოირჩევა, მსუბუქად იმართება, აქვს შეიარაღების ფართო არჩევანი, მცირე დრო მომსახურებისათვის და მისი ექსპლუატაცია შეიძლება მოუმზადებელი აეროდრომებიდან. ცეცხლის მართვის სისტემა: დასამიზნებელი კომპლექსი ლაზერული მანძილსაზომი-მიზანმაჩვენებლით.

შეიარაღება: უმართავი ჭურვები (ბომბები 100-დან 500 კგ-მდე, მცირეგაბარიტიანი ტვირთების კონტეინერები);

— მართვადი სარაკეტო;

— უმართავი სარაკეტო,

— საარტილერიო, ჩამონტაჟებული საზარბაზნე დანადგარის შემვსები;

ტექნიკური მონაცემები: საფრენი წონა. მაქსიმალური — 17600 კგ. ნორმალური — 14600 კგ.

საბრძოლო დატვირთვა — 4400 კგ.

ფრენის მაქსიმალური სიშორე კმ: დაბლა — 750, მაღლა — 1250.

ფრენის მაქსიმალური სიჩქარე დაბლა 970 კმ/სთ.

მაქსიმალური საექსპლუატაციო გადატვირთვა — 6,5 ერთეული.

ჭერი — 7000 მ.

აფრენის გარბენის სიგრძე — 600 მ.

პარლამენტის პრესკლუბის პრეზენტაცია

„**ჩვენ ჟურნალისტებს ვუყურებთ, როგორც პოლიტიკურ ელიტას, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას. ვფიქრობთ, რომ პრესკლუბის გახსნა ხელს შეუწყობს პარლამენტსა და მასმედიას შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ პარლამენტი თავის საქმიანობაში იყოს გამჭვირვალე სტრუქტურა და ყველა პროცესი, რომელიც აქ მიმდინარეობს, ყველა გადაწყვეტილება, რომელიც აქ მიიღება, გასაგები და გახსნილი გახდეს საზოგადოებისათვის**“, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ 7 მაისს პარლამენტში პრესკლუბის პრეზენტაციაზე მოწვეულ ჟურნალისტებს.

პრესკლუბი პარლამენტში 7 მაისიდან დაიწყებს ფუნქციონირებას და იგი გახდება პარლამენტარებისა და ჟურნალისტებისათვის საქმიანი შეხვედრების ადგილი.

შეხვედრაზე ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა, რომ დემოკრატიული ქვეყნის არსებობისთვის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს რეალური ინფორმაციის ფლობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ თანამშრომლობის საინტერესო იდეა შესთავაზა მასმედიის წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ იგი ყოველმხრივ მიესალმება, თუ თავისუფალი პრესის წარმომადგენლები ჩამოაყალიბებენ არასამთავრობო ორგანიზაციას, თავისუფალი პრესის ერთგვარი თვითრეგულირების მექანიზმს, რომელიც იმსჯელებს, თუ როგორ უნდა განვითარდეს დამოუკიდებელი პრესა საქართველოში და რა სამოქმედო პრინციპები უნდა შეიმუშაოს მომავალში.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ მასმედიის წარმომადგენლებს აცნობა, რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო [illegible] სტრუქტურათა ერთობლივი ძალისხმევით მიღწეული შეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან პრესისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესების თაობაზე.

პარლამენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

ევრობანკი აპირებს საქართველოს გამოუყოს 80 მილიონი ამერიკული დოლარის კრედიტები

7 მაისს თბილისში ქვეყნის პრეზიდენტის პრესსამსახურში გაიმართა საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის პრესკონფერენცია. მან ჟურნალისტებს გააცნო დიდ ბრიტანეთში ამ ცოტახნის წინათ გამართული ვიზიტის შედეგები, სადაც იგი მეთაურობდა სამთავრობო დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში რესპუბლიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებიც შედიოდნენ.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა თქვა, ვიზიტს პოლიტიკურთან ერთად, ეკონომიკური ხასიათიც ჰქონდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებთან, ლორდთა პალატაში, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ხელისუფლების სხვა უმაღლეს ეშელონებში გამართული საუბრები, რომელთა დროს მიმდინარეობდა ორმხრივი ურთიერთობების საკითხებისა და რეგიონში არსებული პრობლემების დაინტერესებული განხილვა, მჭიდროდ უკავშირდებოდა საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის საქმიანი წრეების, აგრეთვე ლონდონში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართულ კონსტრუქციულ დიალოგს. კერძოდ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების დროს საბოლოოდ გადაწყდა საქართველოსათვის 18 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის გრძელვადიანი სესხის გამოყოფის საკითხი, რომელიც მოხმარდება ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის განვითარებას. ამავე დროს, როგორც ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა, ევრობანკი ხდება საერთაშორისო შავი ზღვის ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც თბილისში უნდა გაიხსნას, ამერიკა-საქართველოს „აბსოლუტის“ ბანკის საქმიანი პარტნიორი, რომელსაც იგი არსებით ტექნიკურ დახმარებას უწევს ჩამოყალიბების საქმეში. სახელმწიფო მინისტრს უაღრესად პერსპექტიულად მიაჩნია საქართველოსთან ევრობანკის უშუალო კონტაქტების შემდგომი განვითარება. როგორც მან თქვა, ამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის დირექტორთა საბჭომ უკვე გამოუყო საქართველოს 8,5 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთობლივი საბითუმო ბაზის შექმნისათვის, რომლის მშენებლობის დასრულება მომავალი წლისათვის არის დაგეგმილი. გარდა ამისა, ევრობანკმა გამოთქვა მზადყოფნა მიიღოს მონაწილეობა საქართველოში კიდევ ორი დიდი პროექტის დაფინანსებაში. ეს არის სუფსის ნავთობის ტერმინალის მშენებლობა, რომლის მეშვეობითაც მოხდება კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება დასავლეთის მიმართულებით, და რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მაგისტრალური გაზსადენის გაფართოება თურქეთის მიმართულებით ამ ქვეყანაში რუსეთიდან ბუნებრივი გაზის მიწოდების მიზნით.

როგორც ნიკო ლეკიშვილმა აღნიშნა, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, მისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალი, განსაზღვრავს დიდი ბრიტანეთის უდიდესი ფირმებისა და კომპანიების დაინტერესებას ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პროექტის განხორციელების საქმეში. საგნობრივი საჯა-ბაასი ამ პროექტის, ისევე როგორც სხვა კონკრეტული პროგრამების განხორციელების საქმეში ბრიტანეთის კაპიტალის დაბანდების შესაძლებლობების თაობაზე მიმდინარეობდა სრულიად განსხვავებულ დონეზე: ტრანსპორტის სამინისტროში, ბრიტანეთის სამრეწველო კონფედერაციაში, ქვეყნის წამყვან სამშენებლო და სატრანსპორტო, ნავთობის კომპანიებში, ბანკებში. ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მოგვარება-განვითარებასთან, ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი განიხილეს დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტის, საერთაშორისო საზღვაო საზოგადოების, აღმოსავლეთ ევროპის სავაჭრო საბჭოს ხელმძღვანელებთან რესპუბლიკის დელეგაციის წევრთა შეხვედრების დროს.

სახელმწიფო მინისტრმა დაწვრილებით ილაპარაკა თითოეული ამ შეხვედრის შესახებ, რომელთა შედეგადაც განისაზღვრა ამა თუ იმ სფეროში ბრიტანელ და სხვა საზღვარგარეთელ პარტნიორებთან თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებანი და პრიორიტეტები. მთლიანად ვიზიტის შედეგების შეფასებისას, ნიკო ლეკიშვილმა აღნიშნა, რომ მალე ამ შედეგებს რეალურად შეესხმება ხორცი კონკრეტულ პროექტებსა და პროგრამებში, რომელთა განხორციელებასაც უახლოეს მომავალში შეუდგებიან საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

ნიკო ლეკიშვილმა უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებს.

საქინფორმი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი არ აპირებს შეწყვიტოს თავისი პროგრამები საქართველოში

„**საერთაშორისო სავალუტო ფონდი არ აპირებს შეწყვიტოს თავისი პროგრამები საქართველოში, — განაცხადა 7 მაისს თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე ამ ფონდის ევროპის მეორე დეპარტამენტის სამხრეთ დივიზიონის უფროსმა მოჰამედ შადმან ვალავიმ. იგი მეთაურობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას, რომელიც ორი კვირის მანძილზე საქართველოში მუშაობდა, აანალიზებდა რეფორმათა მიმდინარეობას ქვეყანაში, იმას, თუ რამდენად ეფექტიანად არის გამოყენებული აქ რადიკალური სტრუქტურული გარდაქმნებისათვის გამიზნული ფონდის რეკომენდაციები.**

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ მოწყობილმა პრესკონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობდა ეკონომიკურ რეფორმათა საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწე თემურ ბასილია, ჟურნალისტთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. რადგან, ბოლო დღეების მანძილზე, გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი აპირებს ფინანსური დახმარება შეუწყვიტოს საქართველოს. ეს ხმები კი წარმოშვა, როგორც ცნობილია, ქართველ ბიზნესმენთა ჯგუფთან ბატონ ვალავის შეხვედრის დროს მომხდარმა ინციდენტმა, როცა ბიზნესმენთა ნაწილმა დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი ამის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ფონდი იწონებს რესპუბლიკის მთავრობის საგადასახადო პოლიტიკას. ეს ფაქტი საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა მიიჩნია იმ ადამიანთა ჯგუფის დემარშად, რომლებიც შეეჩვივნენ საგადასახადო შეღავათებს და აშკარად პირად ინტერესებს ისახავენ. უფრო მეტიც, შადმან ვალავის მიაჩნია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი არ ეწინააღმდეგება, პირიქით, ყოველნაირად უწყობს ხელს კერძო ბიზნესის განვითარებას საქართველოში, რასაც, სხვათა შორის მან უწოდა ფონდის ერთ-ერთი ძირითადი მიღწევა რესპუბლიკასთან თანამშრომლობის ორნახევარი წლის განმავლობაში. როგორც მისიის ხელმძღვანელმა თქვა, სწორედ კერძო მეწარმეობის სტიმულირება უდევს საფუძვლად საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებასაც რესპუბლიკის მთავრობა ხელს უწყობს.

როგორც ბატონმა ვალავიმ თქვა, საქართველოსთან საერთაშორისო სავალუტო ფონდის ურთიერთობაში პრობლემები მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, თუ არ შესრულდება მათ შორის მიღწეული მორიგებები. არადა, ამის არავითარი საფუძველი ჯერჯერობით არ არის, აღნიშნა მან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მეთაურმა მთლიანად დადებითად შეაფასა რესპუბლიკაში სტრუქტურულ გარდაქმნათა სამი წლის პროგრამის რეალიზაციის დაწყება, რომლის განხორციელებისთვისაც მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს გამოეყო ისაფის კრედიტი 246 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით. მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ქვეყანაში სრულდება ინფლაციის შეკავების კურსი, რომ პროგნოზირებულ დონეზეა ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები, ფეხზე დგებიან კომერციული ბანკები. ითქვა, რომ სტაბილურობით ხასიათდება ეროვნული ვალუტის კურსიც, რომელიც ამერიკული დოლარის მიმართ მერყეობს 1,25-1,26 ლარის ფარგლებში. და, რაც ყველაზე მთავარია, პირველად ბოლო წლების მანძილზე ქვეყანაში მიღწეულია წარმოების მოცულობის ხუთპროცენტიანი ზრდა.

ამავე დროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის თვალსაზრისით, კვლავინდებურად სერიოზული პრობლემაა მოსახლეობის სოციალური დაცვა. შემდგომ სრულყოფას საჭიროებს საგადასახადო სისტემა და საბაჟო სამსახურის საქმიანობა, რომელთა ხარვეზები ნეგატიურ გავლენას ახდენს უამისოდაც დეფიციტური ბიუჯეტის შესრულებაზე.

ურთიერთსასარგებლო შეხვედრები

განიხილეს რუმინეთისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტების შედეგები

7 მაისს გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ბისეკის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას რუმინეთში და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო განიხილავს ბისეკს, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონულ ორგანიზაციას. უკანასკნელ პერიოდში ამ რეგიონალურ ორგანიზაციაში გარკვეული სიძნელეები შეიქმნა შინაგანი წინააღმდეგობის გამო იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ. საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გამოვიდნენ მასში წარმოდგენილი ყველა ქვეყნის წარმომადგენლები. საუბარი შეეხო ბისეკის მომავალს. საქართველომ წამოაყენა წინადადება და მხარი დაუჭირა ბისეკის ინსტიტუირებას, როგორც რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციას, შესაბამისი სტრუქტურების, სამუშაო ორგანოების ჩამოყალიბებას, რასაც მისი მართვის შესაძლო გაძლიერება მოჰყვება.

რუმინეთში შეხვედრის დასასრულს მიიღეს დასკვნითი დოკუმენტი, სადაც აისახა ყველა ის პოზიცია და წინადადება, რომლებიც საშუალებას მისცემს ბისეკს გადაიქცეს მძლავრ საერთაშორისო ორგანიზაციად.

საგარეო უწყების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ გაიმართა შეხვედრები რუსეთის, თურქეთის, საბერძნეთის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებთან. განიხილეს როგორც ორმხრივი, ასევე რეგიონული საკითხები. საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია მიიღო რუმინეთის პრეზიდენტმა იონ ილიესკუმ. შეხვედრაზე იმსჯელეს მისი თბილისში ვიზიტად ყოფნის დროს მიღწეული შეთანხმებების რეალიზების საკითხებზე, კერძოდ, ბაქო-ფოთი-კონსტანცის სატრანსპორტო ხაზის მშენებლობის თაობაზე.

ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა ჟურნალისტებს გააცნო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტის შედეგები ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც განიხილეს საქართველო-ამერიკის ორმხრივი ურთიერთობა, საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის საკითხები კავკასიაში რეგიონური პრობლემების მოგვარების მიზნით. გაიმართა შეხვედრები ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პირველ მოადგილესთან სტროუბ ტელბოტთან და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწესთან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ენტონი ლეიკთან. მათთან შეხვედრის მსჯელობის საგანი იყო ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის განვითარების საკითხები. ქართულმა მხარემ გააკეთა ინფორმაცია საქართველოში და რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ. საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივის თაობაზე კავკასიაში მშვიდობის დამყარების მიზნით.

გარდა ამისა, აღნიშნა საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, გაიმართა შეხვედრები სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობის კომიტეტის ხელმძღვანელთან.

დელეგაციის წევრები შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს და გენერალ ჯონ მალხაზ შალიკაშვილს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებისადმი ეკონომიკური დახმარების სამსახურის და ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელებთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ საქართველოს გაეწევა ხორბლითა და საწვავით მნიშვნელოვანი დახმარება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ბუტროს ღალისთან, მის მოადგილესთან და ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის, იტალიის, რუსეთის მისიების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას განიხილეს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხები. ქართულმა მხარემ გააკეთა ინფორმაციები აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ და გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფრო აქტიური მონაწილეობა აღნიშნული კონფლიქტის გადაწყვეტის საქმეში.

ინგლისელი მსახიობი — საქართველოს ბავშვებს

7 მაისს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ საქართველოს დელეგაციის ვიზიტის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაიმართა შეხვედრა გაეროს ბავშვთა ფონდის იუნისეფის ხელმძღვანელებთან. შარშანაც და წლეულსაც სწორედ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით მოეწყო ჩვენს ქვეყანაში ვაქცინაცია. იუნისეფის აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა ახალი ხუთწლიანი 12 მილიონი დოლარის ღირებულების დახმარების პროგრამა. ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა, რომ იუნისეფის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ქართული დელეგაციის წარმომადგენლებს აცნობა იმის შესახებ, რომ ცნობილმა ინგლისელმა მსახიობმა პიტერ უსტინოვმა, რომელიც იუნისეფის ერთ-ერთი საპატიო ელჩია, გერმანიაში გამართა საქველმოქმედო კონცერტი და „დოიჩე ბანკის“ მიერ კონცერტზე მიღებულ შემოწირულობას 100 ათასი გერმანული მარკის ოდენობით გადარიცხავს საქართველოს ბავშვებისათვის დახმარების ფონდში.

საქინფორმი.

რუსეთის პრესის სარკეში

ტეხასი— ამერიკის აფხაზეთი?

ეკონომიკური ინტეგრაცია გააკოტრებს რუსეთს

ეკლესია ხმას აძლევს ელცინს

ვაშინგტონიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში „**იზვესტია**“ მოგვითხრობს სეპარატისტებზე, რომლებმაც თავი წამოყვეს ტეხასის შტატში. საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით მიმართა მსოფლიო თანამეგობრობას იმის თაობაზე, რომ შეერთებული შტატები აღარ არის ტეხასის წარმომადგენელი და **„უფლება არა აქვს ტეხასელთა მაგივრად გადაწყვიტოს საგარეო პოლიტიკის საკითხები“**. მათ, აგრეთვე, განაცხადეს, რომ უარს ამბობენ ფედერალური გადასახადების გადახდაზე. მიუხედავად კონსტიტუციის მიერ აკრძალვისა, „ტეხასის რესპუბლიკამ“ გამოაცხადა შეერთებული შტატებისაგან თავისი გამოყოფა. მაგრამ, აშშ ზემოდან არავითარი სანქციები არ მოჰყოლია. ხელისუფლება ტეხასელ სეპარატისტებს აგრესიულ და შეიარაღებულ ძალად თვლის, თუმცა, ეს მაინცდამაინც არ აღელვებს, ვინაიდან სეპარატისტები უმცირესობაა, ზუსტად ისევე, როგორც ჩვენთან — აფხაზეთში. მართალია, არძინბა მათთვის მაგალითი არ არის, ვინაიდან ტეხასელი სეპარატისტები არ აპირებენ მოსახლეობის უმრავლესობის განდევნას. ამერიკაში, როგორც ცნობილია, უკლებლივ ყველა ამერიკელია, მიუხედავად ეროვნებისა.

„**ნეზავისიმაია გაზეტა**“ აანალიზებს „რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის“ პროექტს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ნათელი არ არის, თუ ვისგან ან როგორ აპირებს რუსეთი თავდაცვას და რა წარმოადგენს რუსეთში ეროვნული ცხოვრების წესს, როცა იქ ცხოვრობენ ქრისტიანები, მუსლიმანები, იუდაისტები და ათეისტები. **რუსეთში სახელმწიფოებრიობა ტრადიციულად ხალხზე მოხელეთა ძალაუფლებით გამოიხატებოდა, არადა, ხომ სწორედ სახელმწიფო უნდა იცავდეს თავის მოქალაქეებს მოხელეთა თვითნებობისაგან?**

გაზეთმა „**ეკონომიკა ი ჟიზნ**“ გამოაქვეყნა ამონარიდები სამეცნიერო გამოკვლევის მასალებიდან რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „დსთ-ს ქვეყნებში საქონლის ექსპორტის დროს, რაც ხდება მსოფლიო ფასებთან შედარებით 30-40 პროცენტის დონეზე, რუსეთის იმპორტი აღწევს უკვე მსოფლიო ფასების 70-80 პროცენტს. ასეთი „დახმარება“, რომელიც 1993 წელს შეადგენდა რუსეთის ერთობლივი საშინაო პროდუქტის დაახლოებით 12 პროცენტს, მძლავრი მადესტაბილიზებელი ფაქტორია“.

„ეკონომიკური ინტეგრაცია გამართლებულია, თუ იგი კი არ ლახავს ყველა მისი მონაწილის ინტერესებს, არამედ პასუხობს ამ ინტერესებს“, — ასკვნის გაზეთი.

აშშ-სა და რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების წინა ხანებში ორივე სახელმწიფოს სამხედრო ელექტორატებს ნათლად ახასიათებს მსგავსი ანტისაპრეზიდენტო და ანტისამთავრობო განწყობილებები. რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა უმრავლესობა (20 მილიონი ოჯახებისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენელთა ჩათვლით) ემხრობა კომუნოიდეოლოგიურ მიმართულებას იმის გამო, რომ პრეზიდენტმა არ შეასრულა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა.

აშშ-ს რაც შეეხება, პენტაგონმა შტაბების უფროსების სახით ბრძოლაში გაიწვია თავისი მთავარსარდალი კლინტონი, თავდაცვის მინისტრი პერი და შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე შალიკაშვილი, მოსთხოვა მათ 15 მილიარდი დოლარის დამატებითი ასიგნებანი (მთელი ფედერალური ხარჯების 1 პროცენტი). კონგრესის რესპუბლიკური ხელმძღვანელობა (როგორც ჩანს, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროც) აპირებს მხარი დაუჭიროს სამხედროთა მოთხოვნას, რამაც შეიძლება სერიოზული პოლიტიკური შერყევები გამოიწვიოს.

წინასაარჩევნო პოლიტიკური სიტუაციის თაობაზე მისთვის დამახასიათებელი კატეგორიულობით და საკმარისი ირონიულობით გამოვიდა „**იზვესტიაში**“ გენერალი ლებედი. „დღეს კომუნისტებს შეუყვარდათ პირჯვრის წერა, ლაპარაკი იმაზე, რომ მათი იდეოლოგიაა ქრისტიანული ფასეულობანი. მე, ალბათ, ისეთი მორწმუნე კაცი არა ვარ, როგორც ზიუგანოვი, მაგრამ ვიცი, რომ სახარება და ძველი აღთქმა საღმრთო წიგნებია, საიდანაც არავითარი პოლიტიკური ან სოციალური სისტემის პირდაპირ გამოყვანა არ შეიძლება“. „ამ სიტუაციაში კომუნისტურმა ნომენკლატურამ თავისი ხელისუფლების მხოლოდ ფაქტით ისეთი ვნებები, ისეთი იმედები შეიძლება გამოიწვიოს, რომ მეშინია, მათი ჩაქრობა დიდი სისხლი დაჯდება“.

სააგენტო „**პოსტფაქტუმი**“, ცნობაში პატრიარქ ალექსი II-ის საქართველოში ყოფნის შესახებ, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ რუსეთის ეკლესია დაინტერესებულია საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით. პატრიარქმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეკლესია არ იგუებს კომუნისტურ არჩევანს, რითაც გვაგრძნობინა, რომ „მართლმადიდებელი ელექტორატი“ მხარს დაუჭერს პრეზიდენტ ელცინს. მან, აგრეთვე, **კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ახლა პასუხსაგებ პერიოდში რუსეთსა და საქართველოს სათავეში უდგანან „ისეთი ბრძენი პოლიტიკოსები, როგორც ბორის ელცინი და ედუარდ შევარდნაძეა“.**

გაზეთ „**სეგოდნია**“ მოჰყავს ჰეიდარ ალიევის გამონათქვამი, რომ აზერბაიჯანი განიხილავს ისეთი მილსადენის შექმნის ვარიანტებს, რომელიც არც რუსეთზე გაივლის, არც საქართველოზე. ასეთი შეხედულება მოტივირებულია „არამშვიდობიანი ვითარებით ჩრდილოეთ კავკასიაში“.

იური მოსეშვილი.

9 მაისი — ფაშიზმზე გამარჯვების დღე

ფრონტული იუმორიდან

სტალინი ეკითხება ჰიტლერს:

— თქვენ ჯარებს რატომ მოუყარეთ თავი ჩვენს საზღვრებთან?

ჰიტლერი:

— ჩვენ დავასრულეთ კამპანია დასავლეთ ევროპაში და ჯარები დასასვენებლად გავიყვანეთ აღმოსავლეთში. მაგრამ, აი, თქვენი დივიზიები რატომ დგანან ჩვენს საზღვრებთან?

სტალინი:

— იმისთვის დგანან, რომ თქვენს ჯარებს მშვიდად დასვენების საშუალება მისცენ.

* * *

1941 წლის შემოდგომა.

— როგორ ფიქრობ, ვილი, როდისმე მოსკოვში ვიქნებით თუ არა?

— არ ვიცი, ოტო. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უკვე ბერლინშიც არასოდეს ვიქნებით.

* * *

— **როგორ** გაბედეთ, თქვენ, პოლკოვნიკო გრამე, მოსკოვის ახლოს ბრძოლის ველიდან გაქცევა?

— ნება მომეცით, მოგახსენოთ, ბატონო გენერალო, რომ მე არ გავქცეულვარ. მე იქ კუდით ქვა მასროლინეს!

* * *

— **ბატონო** ობერ-ლეიტენანტო, ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ თქვენი ეფრეიტორი ისევ მთვრალია!

— საიდან იცი შენ ეს?

— ის ისევ თავის სარკეს პარსავს.

* * *

მართას ჰყავდა თუთიყუში, რომელსაც დასწავლილი ჰქონდა სიტყვები: „სიკვდილი ჰიტლერს!“, ერთხელ მასთან გესტაპოელები შევიდნენ და, როცა ამ თუთიყუშს მოუსმინეს, მის დიასახლისს დაემუქრნენ: თქვენი თუთიყუში სხვაჯერაც თუ იმას გაიმეორებს, რაც დღეს თქვა, მაშინ ორივეს — თქვენ, თქვენს რძალსაც დავხვრეტთო. დედაბერი წავიდა პასტორთან, რომელსაც ასეთივე თუთიყუში ჰყავდა, მოეთათბირა მას. რა ვქნათო, იმ ქალმა შესთავაზა, ჩვენი ფრინველები გავცვალოთო. მორიგ დღეს გესტაპოელები ისევ გამოეცხადნენ მართას. ამჯერად, თუთიყუში დუმდა. მისი პროვოცირებისთვის ერთ-ერთმა ფაშისტმა იყვირა:

— სიკვდილი ჰიტლერს!

— ღმერთმა ისმინოს გალობა შენი! — მორჩილად უპასუხა თუთიყუშმა.

* * *

— **მეგობარო,** ჩვენი ფიურერის პოლიტიკაზე რას ფიქრობ?

— მასზე რა აზრის შენა ხარ, მეც იმ აზრისა ვარ.

— ხოო?! მაშინ მე ეს გესტაპოს უნდა ვაცნობო!

* * *

გაბედული იტალიელი ქალი ეუბნება თავის ქმარს:

— ვიდრე შიმშილით მოვკვდები, მუსოლინის მოვკლავ!

ამ ქალმა დანა აიტაცა და ქუჩაში გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ის დაღრეჯილი ფიზიონომიით ბრუნდება თავის სახლში, ქმარი მას ეკითხება:

— რაო მუსოლინი მოკალი?

— როგორ მომეკლა! ჩვენს ქვეყანაში ხომ ყველაფერზე რიგებია!

* * *

განსი:

— გულ-მკერდზე თუ ჯავშანს ავიცვამთ, რუსული ტყვიები ვერაფერს დაგვაკლებს!

ფრიცი: ჯავშანი გულ-მკერდზე?.. უკანალზე ხომ არ სჯობია?

* * *

წერილი ფრონტიდან:

„ფიურერმა თქვა, რომ ჩვენ 1941 წელს მოვიპოვებთ გამარჯვებას. თქვენს პოლკს რაც შეეხება, ჩვენთვის აბსოლუტურად აუცილებელია, რომ გამარჯვება მოიპოვოთ ხვალ მაინც, — არა ამაზე გვიან. — იმიტომ, რომ, ზეგ ჩვენს პოლკში მოზეიმე არავინ დარჩება...“

* * *

— **ბატონო** ფელდფებელო, საუზმე მხოლოდ ნახევარ ასეულს ეყოფა...

— ჩინებულია! იერიშის შემდეგ წავისადილებთ. სწორედ რომ ყველას შეგვხვდება ცოტ-ცოტა რაღაც!

* * *

სანგარში ბრძოლის წინ ორნი სხედან.

ფრიცი: — შენ სად გინდა მოხვდე, ვილი, თუ ისინი ჩვენ დღეს დედას გვიტირებენ — ჯოჯოხეთში თუ სამოთხეში?

ვილი: ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. ისე კი სამოთხეში კლიმატი უკეთესია, მაგრამ ჯოჯოხეთში უფრო მხიარულობაა.

* * *

ჰოსპიტალში:

— კარლ, გახსოვს თუ არა, რომ ამ ერთი წლის წინათ ჩვენ ვიტაცებდით ყველაფერს, რაზეც კი ხელი გვიწვდებოდა...

— ეგრე იყო. მაშინ ჩვენ ხელები გვქონდა...

* * *

ახალწვეულს ფრონტზე ეკითხებიან:

— შენ როგორ მოიქცევი ოფიცერთან შეხვედრისას?

— გააჩნია ვის ოფიცერს გულისხმობთ, — პასუხობს ახალწვეული. — თუ გერმანელ ოფიცერს შევხვდები, ერთ ხელს ავწევ, თუ რუსს — ორივეს.

* * *

— **ჰანს,** ჩვენი უკანდახევა სტიქიური ამბავი არაა. ჩვენ გეგმიანად ვიხევთ უკან.

— ნაღდს ამბობ, ჰანს. ჩვენ რუსების მიერ შედგენილი გეგმით ვიხევთ უკან.

* * *

როცა ფრანცს დეზერტირობის გამო ხვრეტდნენ, მას ჰკითხეს შენი ბოლო სურვილი რააო.

— მე მინდა, რომ ჩემი ფიურერის გვერდით დამმარხონ! — ასე წამოიძახა განსასჯელმა ფრანცმა.

* * *

ფაშისტი გზაზე მოალაჯებს და მას უცბად ესმის ორი ყმაწვილის საუბარი.

— ფედია, შენ იცი თუ არა რა განსხვავებაა ჰიტლერსა და ძაღლს შორის?

— ვიცი.

— არა, არ იცი!

— ვიცი, ვიცი!

გერმანელმა ამ „მცოდნეს“ საყელოში ჩასჭიდა ხელი და გაბრაზებით ჰკითხა:

— აბა, მითხარი, რა განსხვავებაა ჰიტლერსა და ძაღლს შორის?

ყმაწვილი შეშინდა და იყვირა:

— ვაიმე, გამიშვით! ღმერთს ვფიცავარ, რომ მათ შორის არავითარი განსხვავება არაა!

სერია: „თემატური ანეგდოტის პატარა ბიბლიოთეკა“.

გამარჯვების 50 წელი.
მოსკოვი, გამომცემლობა „ლანა“, 1995.

თარგმნა
ჯუმბერ თითმერიამ.



მხატვარი ბიჭი ლომიძე.

თბილისი, გამარჯვების პარკი. ვარლამ ბენდიურის ფოტო.

საგაზაფხულო ვერნისაჟი

დღეს აჩიკოს დღეობაა...

იდგა საგამოფენო დარბაზის შესასვლელთან თვალებში ღიმჩამდგარი ჭაბუკი და მილოცვებს მოკრძალებით იღებდა.

„დღეს აჩიკოს დღეობაა...“ — ეხუმრებოდნენ, ეფერებოდნენ თანატოლები, ალბათ, თანაკურსელები, დაქალები, ძმაკაცები...

მართლაც რომ დღეობა ეთქმოდა — სრულიად ახალგაზრდა კაცი — შარშანწინ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დამთავრებული (პედაგოგები: ფარნაოზ ლაპიაშვილი და გოგი მესხიშვილი), თავისი ნამუშევრების პირველ პერსონალურ გამოფენას სთავაზობდა სახვითი ხელოვნების მოყვარულთ — ფერწერას, გრაფიკას, კოლაჟს... სულ სამოცზე მეტ ნამუშევარს.

თანამედროვე ქართული მხატვრობის „მამებიც“ ჩანდნენ დარბაზში აქა-იქ. ძალზე აინტერესებდა მათი აზრი აჩიკოს.

სახალხო მხატვარი ჯიბსონ ხუნდაძე:

— აჩიკო ჩემი გამოძღვრილია... ჩვიდმეტი წლის მომიყვანეს და უმალ მივხვდი, რა ნიჭიერ ყმაწვილთან მქონდა საქმე... ბედნიერებაა, რომ აჩიკომ ამ ნიჭს უდიდესი შრომისმოყვარეობა შეუნივთა და, აი, შედეგს თავად ხედავთ...

სახალხო მხატვარი ირაკლი ბორდელაძე:

— უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა ხელოვანის დიდი გემოვნება, შინაგანი კულტურა... შესანიშნავია აჩიკოს გრაფიკული ნამუშევრები...

სახელდახელოდ გამართულ ვერნისაჟზე გამოვიდნენ აგრეთვე მხატვარი გურამ დოლიძე, მსახიობი ბიჭიკო ანდრონიკაშვილი, ერთხმად აღნიშნეს ახალგაზრდა მხატვრის ორიგინალური აზროვნება.

მნიშვნელოვანი და საინტერესოა თვითონ თემა ახალგაზრდა შემოქმედისა. აქ ძალუმად ვგრძნობთ აგერ, გუშინ ჩავლილი (ჩავლილი?!) ჩვენთვის ასე სამარცხვინო შინაომების ექოს, მათ დაღს ადამიანების ფსიქიკაზე... მხატვარი ერთმანეთს უპირისპირებს ადამიანებსა და ცხოველებს და გვაგრძნობინებს, რომ ზოგ შემთხვევაში შეიძლება სახარბიელოც კი იყოს ჩვენთვის, „ცივილიზებული საზოგადოებისათვის“ ცხოველთა სამყარო, მათი ცხოვრების წესი...

აჩიკოს ნამუშევრები 11 მაისამდეა გამოფენილი „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ საგამოფენო დარბაზში...

...ოდნავ სევდიანი განწყობილება მაინც ახლდა დღეობას: ერთადერთი ვაჟიშვილის ნიჭის აღიარებას ვერ ესწრებოდა ჩვენგან ადრე წასული ნაღდი ვერელი, შესანიშნავი მეცნიერ-ბიოლოგი გივი ვეფხვაძე, ვერ ხედავდა ჩვენს თვალწინ როგორ დაკაცდა მისი ციცქნა აჩიკო, როგორ იქცა იგი უცებ არჩილ ვეფხვაძედ!...

მამის ხატება უსათუოდ გაჰყვება მის შემოქმედებას...

ჟილენ მარდალეიშვილი.

* * *

სურათზე: ახალგაზრდა მხატვრის არჩილ ვეფხვაძის ნამუშევრის ფოტორეპროდუქცია.



გაფიცვა

გვაპატიეთ, პატივცემულო მასწავლებლებო!

უაღრესად შევიწროებულმა ცხოვრებამ, არსებობისთვის აუცილებელი საარსებო სახსრების უქონლობამ ჩვენი მომავალი თაობის აღმზრდელნი — პედაგოგები აიძულა, რომ გაფიცვა გამოეცხადებინათ. და ეს იმ დროს, როდესაც სასწავლო წლის მოახლოებულ ფინიშთან ღირსეულად მომზადებულნი უნდა მისულიყვნენ აღსაზრდელები.

ამ უპრეცენდენტო მოვლენამ შეაწუხა მშობელიც, ხელისუფალნიც, განათლების სისტემის მესვეურნიც. უკვე ჩატარდა თბილისის მერიის განათლების სამმართველოს, დედაქალაქის რაიონების განათლების განყოფილებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელთა სხდომა. მიღებულია მიმართვა პედაგოგებისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ვერ მოხერხდება პედაგოგთა მოთხოვნების სრულად შესრულება.

ყველას მიაჩნია, რომ გაფიცვა უნდა შეწყდეს, დაუყოვნებლივ შემუშავდეს მოთხოვნათა დაკმაყოფილების რეალური წინადადებები, შექმნილი კრიზისული სიტუაცია კი განიხილონ საქართველოს პარლამენტის საგანგებო სხდომაზე.

გახსენება

ზაირა გველესიანი

აი, ორმოცი დღეც გასულა, ჩვენო ზაირა... ძალიან მოგვენატრე...

ვარდობის თვეში შეუერთდებით ზეციურ სამყაროს. ჩვენ კი, ამ ცოდვილ მიწაზე დარჩენილთ, ყოველთვის გვემახსოვრება თქვენი სამაგალითო ქალობა, სიკეთე, ჭირში და ლხინში გვერდით დგომა და მშობლიური მზრუნველობა.

თქვენს კეთილ საქმეებს ხომ ბოლო და დასასრული არ ჰქონდა. როგორც ერთი ოჯახის წევრებს — ყველას გვეფერებოდით, გვივლიდით, გვარიგებდით, და გვასწავლიდით ურთიერთსიყვარულსა და მიტევებას.

ასე გვგონია, გაიღება ჩვენი კარი და დაგინახავთ მომღიმარი სახით შემოსულს. მაგრამ, ვაი, რომ ბუნება დაუნდობელია, და ჩვენი მოლოდინი სულ მოლოდინად დარჩება...

მარად ვილოცებთ თქვენი სულის უკვდავსაყოფად.

სასტუმრო „მუზის“ კოლექტივი.

საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომლები თანაუგრძნობენ დირექტორის მოადგილეს ბადრი მეჩხიას მამის

აკაკი მეჩხიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს შსს კახეთის რეგიონალური შს მთავარი სამმართველოს პირადი შემადგენლობა იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი სამმართველოს კახეთის რეგიონალური განყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი

თენგიზ დავითის ძე ნატროშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა 9 V, ზემო მაჩხაანში (დედოფლისწყაროს რ.).

„თბილქალაქმშენის“ № 5 სახლმშენებელი კომბინატის კოლექტივი თანაუგრძნობს უფროს სამუშაოთა მწარმოებელს დავით ლაცაბიძეს შვილის

ლევან ლაცაბიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

კლარა ჭაბუა

პანაშვიდი 7, 8 V, 4 ს., გამოსვენება 9 V, 3 ს., დოლიძის ქუჩა, 25-ე კორპუსი (I სადარბაზო).

ალ. წულუკიძის სახ. უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის თანამშრომელი, ექიმი

ვარლამ (ბიჭიკო) ტიტეს ძე მშვიდობაძე.

პანაშვიდი 9, 10 V, გამოსვენება 11 V, 3 ს., კ. გამსახურდიას გამზ. № 9.

დედა თინა, მამა გივი, მეუღლე ლიკა მოხევიშვილი, შვილი თიკა, დები ელიკო, თამრიკო, ძმა გია ოჯახებით, თინა, ანზორ, მალხაზ მოხევიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნიკა სარალიძე

პანაშვიდი 9, 10 V, 4 ს., დაკრძალვა 11 V, 2 ს., შარტავას (ყოფილი ანაგის) ქ. № 22 (II სადარბაზო).

მეუღლე ვიკა, შვილი ნანა, სიძე პაატა თაბუკაშვილი, შვილიშვილები სალომე, ელენე, ძმა ირაკლი, რძალი ტაისია, ძმისშვილები ჯულიეტა, ვალერი ლობჟანიძეები, ცოლისდა ვალია, ცოლისძმა ალექსანდრე ოჯახებით, მძახლები ლამარა, თენგიზ თაბუკაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი ივანეს ძე რეხვიაშვილი

პანაშვიდი 10, 11 V, 4 ს., გამოსვენება 12 V, 2 ს., დიღმის მასივი, 5 კვარტალი, 5-ა კორპუსი.

საქართველოს პურპროდუქტების სახელმწიფო სააქციო-კომერციული კორპორაციის ბრძანებით, მიმდინარეობს სახელმწიფო კომერციული ცენტრის „საქართველოს პურის“ რეორგანიზაცია შპს „საქპურსერვისთან“ შერწყმის სახით.

ორგანიზაციებსა და საწარმოებს პრეტენზიებითა და განცხადებებით შეუძლიათ მიმართონ სარეორგანიზაციო კომისიას, მ. წ. 15 მაისამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, გენერალ გულუას 6, მე-2 სართული, ტელ.: 98-59-16.

სარეორგანიზაციო კომიტეტი.

ფირმა „რუბიკონი“

დაკვეთით ამზადებს ელექტრონულ ავტომატებს, მაცივრების, კომპიუტერების, ვიდეო-აუდიო-ტელეაპარატურის, ელგამახურებლებისა და სხვა ელექტრომოწყობილობების დაზიანებისაგან დასაცავად, კვების ქსელში მათთვის დაუშვებელი ძაბვის შემთხვევაში.

ტელ: 29-01-62, 23-09-67.

ყურადღება!

ა. წ. 13 მაისს, 16 საათზე, მოწვეულია სააქციო საზოგადოება „ცენტრალური უნივერმაღის“ აქციონერთა საერთო კრება.

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

მისამართი: ქ. თბილისი, ჩოდრიშვილის შესახვევი 8, ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლი (ცენტრალური უნივერმაღის მიმდებარე ტერიტორია).

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 11 მაისს.

ომგადახდილებს —მადლობა!

ვაკის გამგეობაში ტრადიციად იქცა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი შეხვედრები ომის ვეტერანებთან. წლეულსაც ამ შეხვედრაზე სამოცზე მეტი ომგადახდილი მოვიდა. შეხვედრამდე დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა და ვაკის გამგეობის ხელმძღვანელობამ ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი გამარჯვების პარკში.

ვაკის გამგეობის შენობაში ვეტერანებს ელოდა საზეიმოდ მორთული დარბაზი და სუფრა.

საქინფორმი.

ჯარისკაცები არ დაიბნენ...

კასპიდან მომავალი საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალ-მაიორი გუჯარ ყურაშვილი, რომელმაც მცხეთაში დისლოცირებული პირველი საარტილერიო ბრიგადის ჯარისკაცები მოინახულა, შემზარავი ავტოკატასტროფის მოწმე იქცა. თურქეთის ავტობუსის შეჯახების შედეგად ზუგდიდიდან მომავალი „იკარუსი“ ამოტრიალდა და მგზავრები ქვეშ მოიყოლა.

ომში ნაცად, უშიშარსა და სანიმუშო მებრძოლ ჯარისკაცთა ოპერატიული დახმარება არ დაგვიანებია. ოცდათორმეტმა ჯარისკაცმა ფეხზე დააყენა ავტობუსი და მსხვერპლთა რიცხვი მინიმუმამდე შეამცირა.

ჯარისკაცებმა, გენერალ-მაიორ გუჯარ ყურაშვილის ხელმძღვანელობით უზრუნველყვეს დაშავებულთა გადაყვანა საავადმყოფოებში.

თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ექვსი ოფიცერი, სერჟანტი და რიგითი საათებით დაჯილდოვდნენ, რვას საპატიო სიგელი გადაეცა, დანარჩენებს გამოეცხადა მადლობა.

უცნობი ფაქტები

ჰიტლერი: როგორიც იყო...

20 აპრილს მსოფლიოში აღინიშნა 107 წლისთავი მთელი მსოფლიოს დაპყრობის იდეას ატანილი მანიაკის — ადოლფ ჰიტლერის დაბადებიდან (სწორედ ამ სახელით ჩაიწერა მომავალი ფიურერი დაბადების დავთარში). 30 აპრილს შესრულდა მისი თვითმკვლელობის 51 წლისთავი. ბევრი დასავლური გამოცემა ყოველნაირად ბუქავს ჰიტლერის პიროვნებას, ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ იგი ნამდვილი ბუმბერაზი იყო. მაგრამ რას წარმოადგენდა ეს „ბუმბერაზი“ სულთამხუთავი ყოველდღიურ ყოფასა და ცხოვრებაში?

იგი შიშველი არავის უნახავს

სიყმაწვილეში ჰიტლერი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ მაინც არსად არ მუშაობდა და არ იცოდა, რა არის ჯამაგირი. ზოგჯერ ცოტაოდენ ფულს იღებდა მშობლებისაგან და მაშინ დაეხეტებოდა ვენის მუზეუმებში, საათობით უკირკიტებდა წიგნებს ბიბლიოთეკებში, დადიოდა ოპერაში, როდესაც ვაგნერი იდგმებოდა, მისი „ტრისტან და იზოლდა“ ჰიტლერმა ერთი 30-ჯერ მაინც ნახა, როდესაც შინიდან ფულის გამოგზავნის წყარო დაეშრიტა, ხელი მიჰყო ვენის ქუჩების ამსახველი პატარ-პატარა აკვარელების ხატვას. თავდაპირველად ცუდად გამოსდიოდა, მაგრამ მერე და მერე, გაიწაფა ხელი და ნახატებიც ეყიდებოდა. თუმცა, თვით ჰიტლერი განზე ედგა სურათების გასაღების საქმეს. ამას ახალგაზრდა ადოლფუსის მაგივრად აკეთებდა მისი მეზობელი ღამისსათევიდან, გვარად ჰანიში.

პირველ მსოფლიო ომს აღფრთოვანებით შეხვდა. მან დაუყოვნებლივ შეიტანა არზა სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის შესახებ და ფრონტზე გაემგზავრა. თავის მოვალეობებს — მოწინავე ხაზიდან მოხსენებებისა და განკარგულებების ჯარის ნაწილის შტაბში სატარებლად — იგი რაღაც ფანატიკური თავდადებით ასრულებდა, ეს დაუფასეს და რკინის ჯვრით დააჯილდოვეს.

გერმანიაში ომის შემდეგ კვლავ გაუჭირდა, და მხოლოდ პოლიტიკური მოღვაწეობის წყალობით შეძლო ცოტაოდნად შეევსო თავისი გათხელებული ქისა პარტიული სალაროდან.

ჰიტლერს უმაღლესი განათლება არ მიუღია და შეცდომებით წერდა. მაგალითად, სიცოცხლის ბოლომდე ვერა და ვერ დაიხსომა, როგორ იწერება სწორად სიტყვები „თეატრი“ და „იდეა“. მიუხედავად ამისა, იგი ძალიან ბევრს, თუმცა, უსისტემოდ, კითხულობდა და ფენომენალური მეხსიერების წყალობით შეძლო მნიშვნელოვანწილად შეევსო თავისი განათლების ხარვეზები.

მაგრამ ზრდილობის, თავაზიანი მანერებისა და მეტყველების მხრივ საქმე გაცილებით უარესად ჰქონდა. სტუმრად ხშირად მისულა წელზე პისტოლეტშემორტყმული და მათრახით ხელში, ყველას დასანახად ჰკიდებდა მათ შესასვლელში, რათა ეჩვენებინა, რომ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა და რაღაც საიდუმლო ფუნქციებს ასრულებდა.

ჰიტლერი ისე უგემოვნოდ იცვამდა, ცირკის მასხარა ეგონებოდათ. 20-იან წლებში ხშირად უნახავთ, როგორ გამოდიოდა იგი ქუჩაში გაქუცული პიჯაკით, ყვითელი ფეხსაცმლითა და... ზურგზე აბგაგდებული.

იგი არასოდეს უნახავს ვინმეს გახდილი ან თუნდაც ტრუსისამარა. მართალია, ჰიტლერი დადიოდა ხოლმე პლაჟზე თავის დიშვილთან გელი რაუბალთან (მერე კი ევა ბრაუნთანაც) ერთად, მაგრამ ტანთ არასდროს გაუხდია. მან უარი თქვა წინადადებაზე, ესწავლებინათ მისთვის ვალსი იმ მოტივით, რომ სახელმწიფო მოღვაწისათვის ეს უკადრისი საქმე იქნებოდა.

ჰიტლერი პატარაობიდანვე ნატრობდა ძალაუფლების მწვერვალზე მოხვედრას. ამიტომ იყო, რომ ყოველთვის, ვენაში ქუჩა-ქუჩა ხეტიალის დროს თუ შემდეგ, ფრონტზე ყოფნისას, ჰიტლერს ყველასთან მეგობრულად, მაგრამ გარკვეული დისტანციით ეჭირა თავი. იგი ყოველნაირად გაურბოდა სურათის გადაღებას, რადგან სულ ეშინოდა, რომ ფოტოგრაფი სასაცილო ან რაღაც უაზრო პოზაში წაასწრებდა და შემდეგ, როდესაც ჰიტლერი ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფო პოსტს დაიკავებდა, ამ სურათებით შანტაჟირებას დაუწყებდა. მოგვიანებით, როდესაც ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელი გახდა, ჰიტლერმა აკრძალა ყოველგვარი პუბლიკაციები თავის პირად ცხოვრებაზე. ყველა ნათესავი ლამის ძალით მოიშორა თავიდან, ხოლო ღვიძლ დას პაულას გვარი ვოლფად გადააკეთებინა.

ჰიტლერი სისუფთავითაც ნამდვილი მანიაკი იყო. როდესაც ხელისუფლების სათავეში მოექცა, დღეში ორ-სამჯერ იღებდა აბაზანას, დილაობით—ცხელს, ძალიან ეშინოდა, ავად არ გამხდარიყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არავის ასინჯინებდა თავს, რადგან ექიმის წინაშეც კი არ უნდოდა გაშიშვლებულიყო.

სტალინის ყურები

1931 წლიდან ჰიტლერი ვეგეტარიანულ კვებაზე გადავიდა. მისი ულუფა — ბოსტნეულის წვნიანი, ფაფა, სალათა — ძალზე სადა იყო. თვითმხილველნი იხსენებენ, რომ ბუნკერში ყოფნისას, როდესაც სუფრაზე მასთან ერთად იყვნენ მდივანი და სტენოგრაფისტი ქალები, ადიუტანტები, სადილობისას ელვის სისწრაფით ხვრეპდა თავის წვნიანს. ჩქარ-ჩქარა სჭამდა და თითქმის დაუღეჭავად ყლაპავდა. ჭამის ან ჭიქა წყლის დალევის შემდეგ ხშირად იწმენდდა ტუჩებს მარჯვენა ხელის მტევნით, თუმცა მაგიდაზე თეფშის გვერდით ყოველთვის იდო ხელსახოცი...

სიყმაწვილიდანვე ძალიან უყვარდა კრემიანი ტკბილეული. შემდეგ როდესაც ფული გაუჩნდა, ტკბილეულეზელებს პირდაპირ მუსრს ავლებდა. ჰყვებიან, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე განუწყვეტლივ ბოლთას სცემდა ბუნკერში და გამუდმებით შთანთქავდა ტკბილღვეზელებს, მთელი გულისპირი ნამცხვრის ნამცეცებით ჰქონდა მოთხვრილი. სიტყვამ მოიტანა და ჭიქა ჩაიში შვიდ კოვზ შაქარს მაინც იყრიდა. ერთხელ ჰიტლერი კომპოზიტორ ვაგნერის ქვრივს გამოუტყდა, დღეში კილოგრამ შოკოლადს ვჭამო. არ ეტანებოდა ალკოჰოლიან სასმელებს, თუთუნს და სხვებსაც უკრძალავდა თამბაქოს წევას მასთან ყოფნისას.

ფიურერი „ბუ“ იყო. ისევე როგორც სტალინი, იგი გამთენიისას წვებოდა და დილის 11 საათამდე ეძინა. ამ დროისათვის კამერდინერი ახალ გაზეთებს უწყობდა სკამზე, რომელიც კარზე იყო მოდგმული. 11 საათზე, კარი იღებოდა ზუსტად იმდენზე, რომ გამოტეულიყო გაზეთების ასაღებად გამოყოფილი ხელი. ამის შემდეგ კარი იხურებოდა და გასაღებით იკეტებოდა. ჰიტლერი მარტო, კამერდინერის დაუხმარებლად იცვამდა ჩაკეტილ ოთახში. ზოგჯერ კამერდინერს უბრძანებდა, რომ კარს იქეთ დაენიშნა ჩაცმის დაწყების დრო, და ფიურერის შეძახილზე: „უკვე“ — წამზომს აჩერებდა. ჰიტლერი კარგ გუნებაზე დგებოდა, თუ რომელიმე დღეს ჩაცმის თავისივე საკუთარ რეკორდს გააუმჯობესებდა.

ჰიტლერის პათოლოგიურ ანტისემიტიზმზე ანეგდოტები დადიოდა. როდესაც რიბენტროპი მოსკოვიდან დაბრუნდა 1939 წლის ავბედითი ხელშეკრულების დადების შემდეგ, ჰიტლერს უჩვენეს ფოტოსურათები, სადაც ხელმოწერის მომენტები იყო აღბეჭდილი. ფიურერი ძლიერი ლუპით შეიარაღდა და დიდხანს აკვირდებოდა... სტალინის ყურის ბიბილოს ფორმას. სამარისებულმა სიჩუმემ საკმაოდ დიდხანს გასტანა — შეკრებილი ამალა სულგანაბული მოელოდა ფიურერის ვერდიქტს. ბოლოს მან ლუპა დადო და შვებით აღმოხდა: „არა, სტალინი ებრაელი არ არის!“

ჰიტლერს ძალიან ეშინოდა თავდასხმისა. ბევრს მიუქცევია ყურადღება, რა უცნაურად იფხატავდა ფიურერი თავზე ქუდს. მაგრამ ყველამ როდი იცოდა, რომ ფიურერის ფორმის ქუდი დამზადებული იყო სიფრიფანა, მაგრამ ძალზე მაგარი ფოლადისაგან, რომელსაც მაუდი ჰქონდა გადაჭიმული და თავს მუზარადზე გაცილებით უკეთ იცავდა.

ფიურერი გაურბოდა თვითმფრინავით მგზავრობას. ჩვეულებრივ იგი სარგებლობდა ავტომობილით ან სპეციალური სამთავრობო მატარებლით, რომელიც 15 ვაგონისაგან შედგებოდა. სხვათა შორის, ამ მატარებელს რატომღაც „ამერიკას“ ეძახდნენ.

და, ბოლოს, — რაც შეეხება ფიურერის ურთიერთობას ქალებთან. ფიურერი იყო ჩვეულებრივი მამაკაცი და არ ჰქონდა რაიმე სენსაციური სექსუალური გადახრები. ხშირად ჩუქნიდა ხოლმე თავის მანდილოსნებს ვეებერთელა თაიგულებს და ძვირფას სამკაულებს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ იგი ქალებს მოსწონდათ. ორმა მათგანმა ეჭვიანობის გამო, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, ხოლო ევა ბრაუნმა ორჯერ სცადა თავი მოეკლა. მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ მესამე ცდაზე მიაღწია საწადელს — ამჯერად ჰიტლერთან ერთად, ბერლინის აღებამდე ერთი დღით ადრე...

გაზ. „არგუმენტი ი ფაქტი“, № 17.

მორიგე რედაქტორი ანზორ ბასილაია.

გამომცემელი შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 60434. ტელ.: 99-73-24. მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.